



კავკასიის
საერთაშორისო
უნივერსიტეტი
CAUCASUS
INTERNATIONAL
UNIVERSITY

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

საბანმანათლებლო
პროგრამების კატალოგი

CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY
PROGRAM CATALOGUE

2024

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციასა და მუდმივ განახლებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

უნივერსიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს კაპიტალს ღირსეული კადრები და თანამშრომლობის სწორი სქემა წარმოადგენს. უნივერსიტეტი ტრადიციული, კლასიკური გაგებით ადმინისტრაციის, პროფესორების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ორიენტირებული კორპორაციაა. მისთვის ღირებულია მაღალი შეგნებისა და ზნეობის პრინციპების დამკვიდრება, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების პრაქტიკული განხორციელება, პოლიტიკური ლიბერალიზმის ხელშეწყობა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:

- ღირსეული ადგილი დაიკავოს თავისუფალ და დემოკრატიულ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში;
- განახორციელოს და განავითაროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე;
- ხელი შეუწყოს საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო და კვლევით ურთიერთობებს;
- უზრუნველყოს პროფესორ-მასწავლებლების აკადემიური თავისუფლება;
- მოამზადოს ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთაც შეუძლიათ წვლილის შეტანა მდგრადი განვითარების გამოწვევების დამძლევაში”.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სწორად დაგეგმილი საგანმანათლებლო ბიზნესის წარმატებული მაგალითია. იგი თვალსაჩინო მაგალითია თანამედროვე ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა, რომელიც, პირველ რიგში, სტუდენტზე, განათლების ხარისხზე, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტერნაციონალიზაციასა და განვითარებაზეა ორიენტირებული.

უნივერსიტეტის პრიორიტეტებია:

- საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული, კვლევასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია;
- საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სამეცნიერო - პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესორ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური გუნდი;
- დასაქმება სწავლის პარალელურად;
- გაცვლითი პროგრამები;
- მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება;
- გადახდის მოქნილი სისტემა;
- კარიერული წინსვლა;
- სტიპენდია.

უნივერსიტეტის ისტორია 28 წლის წინ, 1995 წელს დაიწყო. ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში გაჩნდა უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ერთ-ერთ წარმატებულ და მძლავრ უნივერსიტეტად ჩამოყალიბდა.

უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრებით დაკომპლექტებული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებით აღჭურვილი ხუთი ძლიერი ფაკულტეტი: ბიზნესისა და ტექნოლოგიების, სამართლის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, მედიცინისა და მევენახეობა-მეღვინეობის.

დღეისათვის უნივერსიტეტის საკუთრებაშია 15114 მ²-მდე ფართობის სასწავლო კორპუსები. უნივერსიტეტის ბაზაზე: თანამედროვე ქართული თუ უცხოური ლიტერატურით, სასწავლო მასალებითა და ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, კსუ-ს მულტიმედია ცენტრი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ქიმიისა და ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის სასწავლო ლაბორატორიები, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, თანამედროვე მულაჟებით აღჭურვილი ანატომიის კაბინეტები, საფანტო სწავლების კაბინეტები, სარეზიდენტო და საუნივერსიტეტო სწავლების სტომატოლოგიური კლინიკები, იმიტირებული სასამართლო პროცესების დარბაზი, იურიდიული კლინიკა, ტურიზმის კაბინეტი, ბიზნეს ინკუბატორი, მარანი „კოლხი“, მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მიკრო ვინიფიკაციის კვლევითი ლაბორატორია, ენოქიმიის, ამპელოგრაფიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიები, სადეგუსტაციო ოთახი, რომელიც სტუდენტთა პროფესიულ დაოსტატებას უწყობს ხელს, სტუდენტური კაფე, სპორტული დარბაზები,

დღეისათვის უნივერსიტეტი ახორციელებს:

11 საბაკალავრო პროგრამას ქართულ და ინგლისურ ენებზე;

4 ერთსაფეხურიან პროგრამას ქართულ და ინგლისურ ენებზე;

8 სამაგისტრო პროგრამას ქართულ და ინგლისურ ენებზე;

5 სადოქტორო პროგრამას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, მისი დაარსების დღიდან, არაერთი მეცნიერული სიახლე დაინერგა, განვითარდა არსებული სტრუქტურები და მიმართულებები. უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე მენეჯმენტის დახვეწა და სრულყოფა.

სწავლების ხარისხის ამაღლებას უნივერსიტეტი სათანადო ყურადღებას უთმობს და მუდმივად ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებებს. ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამების, სასწავლო კურსების, პროფესორ-მასწავლებელთა და, ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასებაში.

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, უნივერსიტეტი განსაზღვრავს პრიორიტეტებს სასწავლო და კვლევის პროცესში. კსუ-ში მუდმივად მიმდინარეობს პარტნიორი უნივერსიტეტების ძიების პროცესი. უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები და მემორანდუმები აქვს გაფორმებული მსოფლიოს მრავალ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომლებთანაც თანამშრომლობა ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ საერთაშორისო გამოცდილებასა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ხოლო წარჩინებულ სტუდენტებს კი ეძლევათ შანსი, სწავლა გააგრძელონ პარტნიორ უნივერსიტეტებში როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე.

უნივერსიტეტს მჭიდრო კონტაქტები აქვს საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო კომპანიებთან. „მოწვეული სტუმრის“ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ, კონტაქტები დაამყარონ პოლიტიკის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც

მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ დასაქმებას. სწავლისა და კვლევის სფეროების არჩევანში სტუდენტებს სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული. მათ შექმნეს ქმედითუნარიანი სტუდენტური თვითმმართველობა.

კსუ აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

2009 -2019 წლებში უნივერსიტეტში გამოდიოდა რეცენზირებადი და რეფერირებადი, სამენოვანი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, რომლის ძირითადი მიმართულებებია თანამედროვე პირობებში ეკონომიკური, ბიზნესის, სამართლის, პოლიტიკის, მედიცინის, მედიკალინის და სხვა დარგებში არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევა, მათი გაშუქება და გადაჭრის გზების ძიება.

2021 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დააარსა ორენოვანი ონლაინ ჟურნალი - „საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“.

ჟურნალის მიზანია, ორიგინალური სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებით, რომლებიც აკმაყოფილებენ მაღალ კვლევით სტანდარტებს და ქმნიან ახალ ცოდნას, ან/და საკითხს წარმოაჩენენ ახლებური ხედვით, ხელი შეუწყოს აკადემიურ კვლევებსა და საქმიანობას. ჟურნალში ქვეყნდება ბიზნესის, ეკონომიკის, სამართლის, მედიის და საერთაშორისო ურთიერთობების ნებისმიერი მიმართულების სტატიები.

უნივერსიტეტის ხელშეწყობითა და დაფინანსებით პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად გამოსცემენ სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ სავალდებულო და დამხმარე სახელმძღვანელოებს.

მეცნიერების სტიმულირების მიზნით უნივერსიტეტმა 2017 წელს დააწესა ყოველწლიური სამეცნიერო პრემია „თამარი“.

კსუ-ს მთავარ პრიორიტეტს კურსდამთავრებულთა დასაქმება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ახალგაზრდების კარიერის დაგეგმვა და მათი პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრა. ამ მიზნით უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა მძლავრი სტრუქტურული რგოლი - უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც სტუდენტებისა და თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს.

სამსახური სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს სთავაზობს სრულ კარიერულ სერვისს, მათ შორის კონსულტაციებს კარიერულ დაგეგმვასთან და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ასევე, ახორციელებს ტრენინგებს, თემატურ ღონისძიებებს, შეხვედრებს დამსაქმებლებთან, ვორკშოპებს, შრომის ბაზრის დინამიკისა და ტენდენციების დაკვირვებას, პროექტებსა და აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს სწორი პიროვნული და კარიერული ორიენტაციის ფორმირების ხელშეწყობას.

სამსახური სისტემატურად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას შრომის ბაზარზე არსებულ სტაჟირების პროგრამებზე, ნახევარ და სრულგანაკვეთიან სამსახურებზე და უწევს კონსულტაციებს წარმატებული კარიერის დაგეგმვის მიზნით.

ასევე, ახორციელებს ფართომასშტაბიან, კომპლექსურ დასაქმების ფორუმებს. ფორუმში მონაწილეობას იღებენ: საბანკო, სამედიცინო, საფინანსო, წარმოების, სავაჭრო, ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში მოღვაწე წამყვანი კომპანიები. ამ ფორმატში მონაწილე სამსახურის მამდიებელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი ძალზე მაღალია.

კარიერული განვითარების სამსახური აქტიურად და ეფექტურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, გადის მათთან კონსულტაციებს, რის შედეგადაც ხდება საჭირო უნარებისა და კომპეტენციების იდენტიფიკაცია, რაც აუცილებელია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ტრანსფერისათვის.

უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერება. ამ მიზნით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული იტალიის, ესპანეთის, შვეიცარიის, სერბეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, რუმინეთის, ლატვიის, ლიტვის, აშშ-ს, ბულგარეთის, ირანის, კვიპროსის, ყირგიზეთის, ჩეხეთის, უკრაინის, თურქეთის და სხვა ქვეყნებისა და რესპუბლიკების უნივერსიტეტებთან.

უნივერსიტეტი მონაწილეობს TEMPUS/Erasmus, CruiseT, ERASMUS + არაერთ გაცვლით და ერთობლივ პროექტში.

დღეისათვის უნივერსიტეტში 5411 მდე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი სწავლობს, მათ შორის 2370 - უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

სტუდენტური ცხოვრება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას. ამიტომ, კსუ ორიენტირებულია უნივერსიტეტში ჯანსაღი სტუდენტური გარემოს შექმნაზე. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ და შესაძლებლობა მივცეთ თითოეულ სტუდენტს გამოავლინოს საკუთარი თავი, განავითაროს საკუთარი ინტერესების სფერო და უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღოს სტუდენტურ ღონისძიებებში.

კსუ სტუდენტებს სთავაზობს საინტერესო, მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას: ცნობილ მეცნიერთა და სხვადასხვა სფეროს წარმატებულ წარმომადგენელთა საჯარო ლექციებს; ექსპედიციებს საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ; საკუთარი ნიჭისა და ინტერესების გამოვლენის მიზნით, უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ მუსიკალურ ბენდში, ხატვის, სიმღერის სტუდიაში, ღვინის თეატრში, სპორტულ სექციებში ჩართვასა და ინტელექტუალურ კონკურსებში მონაწილეობას.

კსუ-ს სტუდენტური ცხოვრება აქტიურია, საინტერესო და დატვირთული! ეს ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია!

კსუ-ს სამხატვრო სტუდია, დაინტერესებულ სტუდენტებს ფერწერისა და ხატწერის მიმართულებას სთავაზობს. სტუდია შემაჯამებელ გამოფენას ყოველწლიურად ატარებს.

ანსამბლი „კავკასიელი“ - ხალხური სიმღერითა და საკრავებით დაინტერესებულ სტუდენტებს აერთიანებს. ანსამბლი აქტიურად ერთვება უნივერსიტეტის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებსა და სხვადასხვა საქველმოქმედო აქტივობაში.

კსუ-ში მეშვიდე წელია, რაც თეატრალური დასი - „ღვინის თეატრი“ შეიქმნა. დასი მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალში - „ნიდაბი“ ყოველწლიურად მონაწილეობს და საპრიზო ადგილებს იკავებს.

კსუ-ში გამორჩეულ და წარმატებულ მიმართულებად ჩამოყალიბდა მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. გუნდმა „Old Boys“ თავისი არსებობის განმავლობაში, რეგიონული ლიგის ბოლო სამი წლის თამაშების შედეგებით, საქართველოს ჩემპიონის ტიტული და ღირსეული გამარჯვება მეორედ მოიპოვა.

კსუ-ში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთისა (გოგონებისა და ვაჟების) და რაგბის გუნდები ფუნქციონირებს.

კალათბურთელებმა 2017-2018 სასწავლო წელი წარმატებით დაიწყეს. გუნდმა „ა“ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, რაც კალათბურთის პროფესიონალურ დონეზე თამაშს გულისხმობს.

აღსანიშნავია ფუტსალის ფეხბურთელების ნაყოფიერი თამაში უნივერსიადის თასისა და ბიზნეს ჩემპიონთა ლიგის თამაშებზე.

უნივერსიტეტში შექმნილი რაგბის გუნდი უკვე მესამე წელია აქტიურად ერთვება საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თაოსნობით გამართულ ტურნირებში. კსუ-ს მორაგბეთა გუნდი შედეგებს წლიდან წლამდე აუმჯობესებს.

კსუ-ს ავტოკლუბმა სამწლიანი არსებობის განმავლობაში სხვადასხვა საპრიზო ადგილის

დაკავება და „STUDENTS CUP“-ის გამარჯვებულის სტატუსის მოპოვება შეძლო.

უნივერსიტეტის ინტელექტუალური სტუდენტური ცხოვრების კიდეც უფრო საინტერესოდ წარმართვისათვის, პერმანენტულად ატარებს თამაშებს - „რა? სად? როდის?“, „ჯეპარდი“, „ქვის ტური“.

უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი შექმნა და განახორციელა. ერთ-ერთი წარმატებული პროექტია „სტუდენტური ცხოვრება“, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის თაოსნობით სამი წელია წარმატებით ხორციელდება. სტუდენტური თვითმმართველობა თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებთან. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ჩვენს სტუდენტებს არაერთხელ შესთავაზეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. უნივერსიტეტის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ცხოვრებას როგორც სამეცნიერო, ასევე კულტურულ-რეკრეაციული მიმართულებით. მათი ინტერესების სფეროებია: განათლება, მეცნიერება, სპორტი, ტურიზმი, სტუდენტების უფლებების დაცვა, კულტურა, პროექტებზე მუშაობა და სხვა.

დღეისათვის უნივერსიტეტი აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებს 11 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას:

1. მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
6. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
7. ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
8. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
9. ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
10. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
11. ქართული მევენახეობა-მელვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

4 აკრედიტებულ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას:

1. მედიცინის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
2. მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;

3. სტომატოლოგიის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა.

6 აკრედიტებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას:

1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
6. ქართული მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

5 აკრედიტებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას:

1. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. მევენახეობა და მელვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზებულ რეჟიმში ახორციელებს 1 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას:

1. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (მიღევად რეჟიმში).

2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას:

1. საერთაშორისო მარკეტინგის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (მიღევად რეჟიმში);
2. გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (წარდგენილია აკრედიტაციაზე, მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება).

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო საბიბლიოთეკო რესურსი:

დღეისათვის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ: სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები, კაბინეტები, საჯარო და საკონფერენციო დარბაზები; კომპიუტერული ბაზა; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები.

უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სრულადაა ასახული სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში „openbiblio” (<http://www.ciu.edu.ge/openbiblio>).

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.

დღეისათვის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის შპს Innovative Systems Management-ის წევრი და უნივერსიტეტის ფარგლებში და მის გარეთ ნებისმიერი დაინტერესებული სტუდენტის, მკვლევარისა თუ პროფესორისათვის ხელმისაწვდომია EBSCO EP Package Elite -ში შემავალი ელექტრონული ბაზები:

1. Academic Search Elite;
2. Business Source Elite;
3. Regional Business News;
4. Newspaper Source;
5. Master FILE ELITE;
6. ERIC (the Education Resource Information Center);
7. Green FILE;
8. Library Information Science & Technology Abstracts (LISTA);
9. Medline;
10. Health Source: Consumer Edition + Nursing/Academic Edition.

გარდა ამისა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს რუსთაველის ფონდის დახმარებით წვდომა აქვს შემდეგ ელექტრონულ ბაზებზე:

[Scopus](#);

[Science Direct](#);

[Funding Institutional](#).

აღსანიშნავია, რომ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია ასოციაცია „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – EIFL-ის“ მონაწილეთა კონსორციუმის წევრად, შესაბამისად უნივერსიტეტის ფარგლებში, ნებისმიერი დაინტერესებული სტუდენტის, მკვლევარისა თუ პროფესორისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული რესურსები:

EBSCO Publishing – შეიცავს საერთაშორისო მონაცემთა ბაზებს. წარმოადგენს ჟურნალებისა და საცნობარო გამოცემების უდიდეს კოლექციას, რომელიც მოიცავს: 11000-ზე მეტი დასახელების სტატიას მეცნიერებისა და ბიზნესის პრაქტიკულად ყველა სფეროში. ამერიკის უმნიშვნელოვანესი გაზეთების სრულ სტატიებს, 100 000 დასახელების ელექტრონულ წიგნს. ბაზა გამოირჩევა ძალზე მოხერხებული და ეფექტური საძიებო სისტემით. ხელმისაწვდომია ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი ავტორიზებული მომხმარებლისთვის:

Academic Search Elite;

Business Source Elite;

Regional Business News;

Newspaper Source;

MasterFILE Elite;

ERIC;

GreenFILE;

Library, Information Science & Technology Abstracts;

MEDLINE;

Health Source: Nursing/Academic Edition ;

Health Source - Consumer Edition;

Master FILE Reference eBook Collection;

eBook Open Access (OA) Collection (EBSCOhost);

Cambridge Journals Online;

e-Duke Journals Scholarly Collection;

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books;

European Respiratory Journal;

IMechE Journals;

Mathematical Sciences Publishers Journals;

Openedition Journals;

Royal Society Journals Collection;

Openedition Journals;

The Company of Biologists' Journals;

SAGE Journals.

უცხოურ საინფორმაციო - საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს მიმართა, რათა უნივერსიტეტი ჩაესვათ კონსორციუმში, რომელსაც წვდომა აქვს **Elsevier** - ის ბაზებზე. 2019 წლიდან ცნობილი გახდა, რომ კონსორციუმში, რომელშიც მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტები იყვნენ ჩართულები გაფართოვდება, კერძო უნივერსიტეტებსაც ექნებათ შესაძლებლობა ჩაერთონ **Elsevier-ის** სისტემაში და ჰქონდეთ წვდომა ბაზებზე- **Scopus და Science Direct**. აღნიშნულ ინიციატივას სრულად აფინანსებს ფონდი.

დღეისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს ყველა სასწავლო კურსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა, ბეჭდური სახით თუ ელექტრონულ მატარებლებზე.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია ვებ მისამართზე <http://elibrary.ciu.edu.ge>. ის წარმოადგენს ორენოვან (ქართული, ინგლისური) ელექტრონულ ინტერნეტ რესურსს მხოლოდ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის. სისტემაში ავტორიზაცია ხდება უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის - @ciu.edu.ge საშუალებით.

ელექტრონული ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის შიდა, ასევე გარე ქსელშიც, მხოლოდ რეგისტრირებული მომხმარებლებისათვის, ამდენად ის წარმოადგენს მეტად სასარგებლო რესურსს სასწავლო პროცესში როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის ეფექტურად განხორციელება, გარდა სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმებისა, უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, პროგრამების შესაბამისი მატერიალური ბაზით.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;

უახლესი კომპიუტერებით აღჭურვილი 6 კომპიუტერული კლასი, ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;

სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები, ორი სასერვერო ოთახი;

კომპიუტერული ლაბორატორია;

იმიტირებული ბანკი

2023 წლის 19 მაისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე იმიტირებული ბანკი გაიხსნა. ბანკი სრულადაა აღჭურვილი ყველა აუცილებელი ტექნიკური სივრცით, რომელიც შესაბამისი სერვისისთვისაა აუცილებელი, მათ შორისაა - იმიტირებული სალარო და ოპერატორის განსათავსებელი სივრცე.

იმიტირებულ ბანკში შესაძლებელი არის საბანკო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით ინოვაციური პროექტების, დისკუსიებისა და სხვადასხვა აქტივობის განხორციელება. მსგავსი მიდგომები ხელს უწყობს სტუდენტებს იმ უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომელიც აუცილებელია რეალურ საბანკო სექტორში დასაქმებისთვის.

იმიტირებული ბანკის სამომავლო აქტივობებში მნიშვნელოვანია დისტანციური ბანკინგის ისეთ საკითხებზე მუშაობა, როგორებიცაა: ხელოვნური ინტელექტისა და Chat Bot-ების გამოყენება; ავტომატიზაცია; ციფრული ტრანსფორმაცია; სხვადასხვა პლატფორმებთან ინტეგრაცია; მონაცემთა ანალიტიკაზე ორიენტირებული მიდგომები; კიბერუსაფრთხოება და ღია ბანკინგი.

სტუდენტთა საპროექტო სივრცე

2023 წლის 19 მაისს გაიხსნა სტუდენტთა საპროექტო სივრცე. საპროექტო სივრცე თანამედროვე დიზაინის ავეჯითა და ტექნიკით აღიჭურვა. საპროექტო სივრცე სასწავლო პროცესს კიდევ უფრო სასიამოვნოს და პროდუქტიულს გახდის. სტუდენტები შეძლებენ მეცადინეობას, მეგობრებთან ურთიერთობას, სტუდენტურ ინიციატივებზე და პროექტებზე მუშაობას. სივრცეში ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები სტუდენტთა მონაწილეობით, მათ შორის

ჩატარდა „გლობალური მეწარმეობის კვირეულის“ აქტივობები, საჯარო ლექციები (მაგ. ლექცია თემაზე: „ქვეცნობიერის გამოვლენა: როგორ მოქმედებს მარკეტინგული კამპანიები მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღებაზე“), ტრენინგები (მათ შორის, ტრენინგი თემაზე: მოლაპარაკებები და ფასწარმოქმნის გავლენა ბიზნესშედეგებზე).

ბიზნესის ინკუბატორი

ბიზნესის ინკუბატორი არის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისთვის შექმნილი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ფაკულტეტზე შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

ბიზნეს ინკუბატორის საქმიანობის ძირითადი მიზანია აკადემიურ საზოგადოებაში მეწარმეობისა და ინოვაციების ხელშეწყობა. ის მიზნად ისახავს დამწყებ მეწარმეებს მიაწოდოს საჭირო ცოდნა, გაუწიოს მენტორობა და მხარდაჭერა, რათა მათი ინოვაციური იდეები წარმატებულ საწარმოებად გარდაიქმნას.

სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს ვისაც აქვს ბიზნეს იდეა და ასევე სურთ უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენონ, ან უბრალოდ აქვთ სურვილი შექმნან რაიმე ახალი, სწორედ მათთვის უნივერსიტეტში შეიქმნა სივრცე ბიზნესის ინკუბატორის სახით. პროექტის ფარგლებში, იდეები დამუშავდება და გარდაიქმნება ბიზნეს მოდელში, რომელიც ქმნის საჭირო პროდუქტს, არის მოთხოვნი და ჰყავს შესაბამისი მიზნობრივი მყიდველი.

ინკუბატორის მთავარია მიზნები მოიცავს სტარტაპების აღზრდას, განვითარების ადრეულ ეტაპებზე. დამწყები მეწარმეების დაკავშირებას დარგის ექსპერტებთან, მენტორებთან. თანამშრომლობითი გარემოს ხელშეწყობას, რომელიც ხელს უწყობს მათი მეწარმეობრივი უნარებისა და კომპეტენციების ფორმირებას და განვითარებას.

UG SDG ლაბორატორია

მდგრადი განვითარების მიზნების ლაბორატორიის საქმიანობის მიზანია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ დისკუსიების, საჯარო შეხვედრების, კონფერენციების, ტრენინგების ორგანიზება. ლაბორატორიის გახსნით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი პირველი აკადემიური დაწესებულებაა ქვეყნის მასშტაბით, რომელიც ინსტიტუციურ დონეზე იზიარებს მდგრადი განვითარების მიზნებს და გაეროსთან აქტიური თანამშრომლობით ხელს უწყობს მის განხორციელებას სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით.

კსუ ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე სხვადასხვა დარგში წარმატებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიქმნა ხუთი ლაბორატორია: **მეწარმეობისა და ინოვაციების** - მთავარი პარტნიორები: EXPORT DEVELOPMENT ASSN., Investme; **ფინანსური განათლების** - მთავარი პარტნიორი ფინედუ; **დუალური განათლების** - მთავარი პარტნიორი საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა; **მარკეტინგის** - მთავარი პარტნიორი ჯეპრა; **ბიზნეს მედიის**. აღნიშნული ლაბორატორიები იფუნქციონირებენ კსუ ბიზნესის ინსტიტუტის ფარგლებში და აქტიურად შეიმუშავებენ სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ სხვადასხვა ინიციატივებს/პროექტებს.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ თითოეული ლაბორატორია განახორციელებს პროექტებს ცნობილ/აღიარებულ ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევითი ცენტრი უპრეცედენტო მასშტაბის ინიციატივას „ახალგაზრდა მკვლევართა პროგრამას“ შესთავაზებს კსუ-ს ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებს, რომელიც „ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტის“ (Institute of New Economic Thinking) კონცეფციას დაეფუძნება.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს ტურიზმის ლაბორატორია, რომლის საქმიანობის მიზნებია:

- სტუდენტთათვის მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული კომპონენტით გაძლიერება, რათა მათ შემდგომში შეძლონ შრომით ბაზარზე ლიდერი პოზიციების დაკავება, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში;
- ტურისტულ ინდუსტრიაში გამოწვევების იდენტიფიკაცია, პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ტურიზმის პოპულარიზაციის ხელშეწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- პროგრამის განმხორციელებელი პროფესორების ხელმძღვანელობით მცირე კვლევით პროექტებში მონაწილეობა;
- პროგრამის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტების ჩართულობა.

ლაბორატორიის საქმიანობას წარმართავს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია ლაბორატორიის ფუნქციების შესრულებაზე. ის ჩატარებული სამუშაოების შესახებ ანგარიშს წარუდგენს დეკანს. ტურიზმის ლაბორატორიის ფუნქციონირებაში მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, დამსაქმებლები და პარტნიორი ორგანიზაციები (როტაციის პრინციპით).

ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეისწავლონ სასტუმროს ინდუსტრიაში მართვის ცნობილი სისტემა **OPERA (PMS)**, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სასტუმროს ფრონტ ოფისის, გაყიდვების, დაგეგმვის და სხვა სერვისების კომპლექსურ პროგრამულ უზრუნველყოფას. ის ახდენს სასტუმროს ფუნქციების ავტომატიზირებას: სტუმრების შეკვეთების მიღებას, სტუმართა მონაცემების მართვას, სასტუმროს ონლაინ დაჯავშნას, გაყიდვის ობიექტების კონტროლს, სატელეფონო მომსახურებას, სტუმართა დებიტორული დავალიანების მართვას, გაყიდვებსა და მარკეტინგს, წვეულებებს, საჭმელებისა და სასმელების ფასებს, რესურსების მართვას, პერსონალის და სახელფასო ფონდის მართვას, ტექნიკური მომსახურების კონტროლს, ხარისხის კონტროლს და სხვა. სასტუმროს მართვის სისტემას შეუძლია იქონიოს ურთიერთკავშირი ცენტრალური რეზერვაციის სიტემასა და შემოსავლებისა ან ხარჯების მართვის სისტემასთან, ასევე ფრონტ ოფისთან, ბექ ოფისთან, გაყიდვების ობიექტებთან, დასუთავების სამსახურთან და სხვა სისტემებთან.

სისტემა **OPERA (PMS)** -ს მართვის უნარების დაუფლება კურსდამთავრებულებისთვის მასპინძლობის ინდუსტრიაში დასაქმების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გაზრდის.

სამართლის ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

სამართლის ფაკულტეტის ბაზაზე, 2019 წლიდან ფუნქციონირებს **იურიდიული კლინიკა**, რომელიც მოქალაქეებს უწევს იურიდიულ კონსულტაციას, უზრუნველყოფს სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის განხილვაში წარმომადგენლობას და ადვოკატირებას. კლინიკაში ჩართულნი არიან მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომლებიც ადვოკატის ხელმძღვანელობით, უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტების წარმომადგენლობაში.

იურიდიული კლინიკა შეიძლება განხორციელდეს სასამართლოში, საადვოკატო ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციებში და მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლების მიცემას.

აკადემიკოს მინდია უგრეხელიძის სახელობის იმიტირებული სასამართლო დარბაზი;
იმიტირებული სასამართლო დარბაზი სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას ჩამოუყალიბდეთ საპროცესო უნარ-ჩვევები სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის პროცესების სასწავლო კურსების ფარგლებში (სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე). გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში აქტიურად ხორციელდება იმიტირებული სასამართლო დარბაზის გამოყენება სხვა სასწავლო კურსებშიც (მაგ. საადვოკატო საქმიანობა - დაცვის ხელოვნება). სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დარბაზის გამოყენების მიზანია შესძინოს სტუდენტს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარი, იმიტირებულ სასამართლო პროცესებში ჩართვით და აქტიური მონაწილეობით. ამ კუთხით, მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ აკუმულირებული ცოდნისა და შეძენილი პრაქტიკული უნარების დემონსტრირება.

კრიმინალისტიკის ლაბორატორია სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას შეიძინონ ცოდნა და უნარები კრიმინალისტიკური მეთოდების, იდენტიფიკაციის, დიაგნოსტიკის, ტექნიკის, კვალთა კლასიფიკაციის, კრიმინალისტიკური ბალისტიკის, დაქტილოსკოპიის, ბიოლოგიური წარმოშობის კვალის, ხანძრის და აფეთქების შემდგომი შემთხვევის ადგილის დათვალიერების, კინოლოგიის, კრიმინალისტიკური ფოტოგრაფირების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ. ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი უახლესი ტექნოლოგიებით და საგამომიებო შემთხვევის დათვალიერებისას გამოსაყენებელი ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით. ლაბორატორიის აქტიური გამოყენება მიმდინარეობს კრიმინალისტიკის სასწავლო კურსისა და სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსის ფარგლებში.

იუსტიციის ლაბორატორია, სადაც იგეგმება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ერთობლივი პროექტების განხორციელება.

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა, ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებმა ადგილზევე გაიარონ როგორც პრაქტიკული კურსები, ასევე პრაქტიკა, რადგან პრაქტიკა კვალიფიციური ჟურნალისტების მომზადების აუცილებელი პირობაა.

უნივერსიტეტის საკუთარი რადიო და სატელევიზიო სტუდიები, პერიოდული ბეჭდური გამოცემების (საუნივერსიტეტო და სასწავლო ჟურნალ-გაზეთების) რედაქცია, ხმის ჩამწერი და სამონტაჟო კაბინეტები, სარედაქციო ნაწილი, სარეჟისორო, ე. წ. ნიუსრუმი და საგრიმიორო. ზემოჩამოთვლილი რესურსები კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის სტრუქტურაში ერთიანდება და დარგობრივი ცოდნის პრაქტიკული ათვისებისთვის საუკეთესო პირობას ქმნის.

მულტიმედია ცენტრი არსებული ინტელექტუალური სივრცის კიდევ ერთი კარგი მაგალითია. აქ სტუდენტს, პროფესორებსა და პრაქტიკოს ჟურნალისტებთან თანამშრომლობით, კრიტიკული აზროვნების, ინდივიდუალიზმისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების შესაძლებლობა ეძლევა.

მულტიმედია ცენტრში არსებული აპარატურა, სტუდიებსა და რედაქციებში განლაგებული მოწყობილობები ბეჭდური, ონლაინ და სამაუწყებლო მედიისთვის მასალების მომზადების სრულფასოვანი სწავლების საშუალებას იძლევა. ტექნიკური პარამეტრების დაცვით აშენებული და გარემონტებული მედიასივრცე კი პროგრამის შემსწავლელთათვის სავალდებულო პრაქტიკის ეფექტურად გავლას უზრუნველყოფს.

უნიკალური მულტიმედიური სივრცე დახელოვნების საშუალებას იძლევა: მომზადებული პერსონალი და ინფრასტრუქტურა (შენობის ორ სართულზე განთავსებული პროფესიონალური ტექნიკით აღჭურვილი რამდენიმე სტუდია, ნიუსრუმი, სარეჟისორო, საგრძნობლო, სამონტაჟოები, გაზეთის რედაქცია და ლაბორატორიები), ახალგაზრდების განკარგულებაშია. აღნიშნული სრულად იძლევა საშუალებას, ახალგაზრდები პრაქტიკაში დაეუფლონ თანამედროვე ჟურნალისტიკის პროფესიულ სტანდარტებს, იმუშაონ რეალურ სარედაქციო რეჟიმში.

სხვადასხვა კურსის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ ერთობლივად შექმნილი კონტენტის თვალის მიდევნება, ქართული არხების ეთერში და პრესისა თუ ელექტრონული მედიის საშუალებით მუდმივად შესაძლებელი.

ჟურნალ-გაზეთების, რადიო და სატელევიზიო სიუჟეტებისა და პროგრამების პარალელურად, ბოლო 5 წელია, მულტიმედია ცენტრი აქტიურად მუშაობს დოკუმენტალისტიკაზე, რომელმაც ფართო საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

დოკუმენტური ფილმების სერია: „ცისფერი ეკრანის ზღაპრები“, პირველი ქართული ტელევიზიის ცნობილ სახეებს მიეძღვნა და ტელევიზიის იუბილეს აღსანიშნავად შეიქმნა. შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო თარიღს მულტიმედია ცენტრი გადაცემათა ციკლით: „რუსთაველის სამყარო - თამაზ კვაჭანტირაძე“, - გამოეხმაურა. პროდუქცია საქართველოს ოცდაერთი რეგიონული ტელევიზიისა და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით უკვე გაიცნო მაყურებელმა.

სასწავლო-შემეცნებითი ფილმების ციკლი „ქართლის ცხოვრება მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად“ თექვსმეტი სასწავლო-შემეცნებითი დოკუმენტური ფილმისგან შედგება. ციკლში საქართველოს ისტორიის ეტაპები და საუკუნეების განმავლობაში განვითარებული მოვლენები მსოფლიო ისტორიულ პროცესებთან მიმართებითაა განხილული და გააზრებული.

ამჟამად სრულდება მუშაობა შემეცნებით დოკუმენტურ ციკლზე „ყვარლიდან მთაწმინდამდე, გურამ შარაძის მოტივებზე“, რომელიც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გვიამბობს. მულტიმედია ცენტრის კამერების ფოკუსში ახალგაზრდული თემებიც ექცევა: „ანორექსია“, „იყო სუბიშვილი“, „Contemporary Dance“, „სინათლით ხაზვა“ და სხვ.

ცენტრის პროდუქციამ არაერთი ტელეფესტივალის ყურადღება მიიპყრო. სხვადასხვა ნომინაციაში გვაქვს პრიზებიც.

აღსანიშნავია, რომ გარდა სტუდენტებისა, მულტიმედია ცენტრი თანამშრომლობას არ წყვეტს კურსდამთავრებულებთანაც. საუკეთესო მაჩვენებლების მქონე კურსდამთავრებულთა ადგილზევე დასაქმება უკვე ჩვენს ტრადიციად იქცა.

მულტიმედია პლატფორმაზე დამყარებული სწავლების მეთოდი შესაძლებლობას იძლევა, სტუდენტებმა თანამედროვე მედიის ყველა საშუალებაში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ახალი მედია) მუშაობისათვის მოსინჯონ ძალები. სასწავლო პრაქტიკული საგნები იმგვარადაა გადანაწილებული, რომ სტუდენტები ამ ტიპის დისციპლინებს IV სემესტრიდან ეუფლებიან.

საკუთარი ტელე და რადიო სტუდიების გარდა, სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკა გაიარონ მოქმედ მედიაორგანიზაციებშიც, რომლებთანაც უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული (საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია, საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, პერიოდული ბეჭდური გამოცემა, ჟურნალი „თეატრი“, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ჟურნალისტიკის რესურს-ცენტრი, მაუწყებელთა ალიანსი, ტელეკომპანია „ტოკ-ტვ“ და ა. შ.).

სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა ასახავს სტუდენტურ ბლოგზეც პოვნებს (იხ. ბმული

<http://multimedia.ciu.edu.ge/blog>).

პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს ფარგლებში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განკუთვნილია:

გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორია, სიმულაციური მოდელირების თამაშების ჩასატარებლად, ისეთი სალექციო კურსების წაკითხვისას, როგორებიცაა „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“, „ძალის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში“ და „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში“, რომლებიც ხორციელდება გაეროს, ეუთოს და ნატოს სტრუქტურების საქმიანობების მოდელირების საფუძველზე, მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოდელირებისას, ასევე ნატოს ეკონომიკური კომიტეტის სხდომის მოდელირებისას;

ქიული შარტავას სახელობის დარბაზი, სადაც ხდება ვიდეო ფილმების დემონსტრირება და მათი სასემინარო განხილვა, სათანადო დებატების განხორციელებით.

ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოლოგიური საფრთხეების კვლევების სტრატეგიული ინსტიტუტი, სადაც „ბირთვული უსაფრთხოების და გაუვრცელებლობის პოლიტიკის“ სასწავლო კურსის ფარგლებში, ხორციელდება კომპიუტერული თამაში მასობრივი იარაღის გავრცელების იმიტაციის შესახებ და ასევე ხორციელდება სიმულაციური თამაში ბირთვული ტერორიზმის სცენარის მიხედვით.

ფაკულტეტზე ასევე ფუნქციონირებს:

- კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესების კვლევის ცენტრი;
- ადამიანური უსაფრთხოების კვლევითი ცენტრი;
- პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი;
- კარიერის მართვისა და განვითარების ცენტრი;
- „საქართველოს ისტორიის“ კაბინეტი;
- პოლონეთის კაბინეტი.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებას განაპირობებს უნივერსიტეტში მოქმედი, უახლესი ინვენტარით აღჭურვილი, მოდერნიზებული, ინგლისური ენის ლაბორატორია - **ლინგაფონის კაბინეტი**, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტისა და ლექტორის ინტერაქტიულ, ეფექტურ ჩართულობას ფონეტიკური აქცენტებისა და დიალექტების შესწორება-დახვეწაში. ლინგაფონის კაბინეტი ერთდერითი და უნიკალური საშუალებაა მოსმენის და წარმოთქმის უნარ-ჩვევების დასახვეწად. პროცესი, რომელშიც ყველა სტუდენტი სინქრონულად, ერთდროულად ჩართულია. ლინგაფონის კაბინეტი - მოწყობილია ინგლისურ ყაიდაზე, ოთახი მოწყობილია ინგლისური კულტურის ამსახველი ფრაგმენტებით. ინგლისური ენის ლაბორატორია, ასევე, აღჭურვილია ისეთი ინვენტარით, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს ისწავლონ არა მხოლოდ აუდიო, არამედ ვიდეო მასალებითაც.

მედიცინის ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი:

მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საბაზისო დისციპლინების უკეთ შესწავლისა და განხორციელების მიზნით შექნილია შემდეგი ბაზები:

- **კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი** - არის სპეციალურად შემნილი სივრცე, სადაც ისწავლება ყველა კლინიკური უნარის განმავითარებელი საგანი, რომელიც სასწავლო პროგრამებში ცალკე, ან მოდულის კომპონენტების ნაწილებად არის წარმოდგენილი. **კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი** - შექმნილია იმისათვის, რომ სტუდენტებს ქონდეთ შესაძლებლობა დაეუფლონ და განივითარონ ექიმისათვის მნიშვნელოვანი უნარები.

- ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო ტექნიკითა და მულაჟებით და სრულად აკმაყოფილებს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. ესენია: **მშობიარობის**

სიმულატორი; მშობიარობის ინტერაქტიული მანეკენი ლეპტოპით; ახალშობილის რეანიმაციის

მანეკენი; მოზრდილის რეანიმაციის მანეკენი არითმიების ინტერაქტიული სიმულატორით; აუსკულტაციის ტრენაჟორი სმარტსკოპით; გულისა და ფილტვის ხმიანობათა სიმულატორი; ავადმყოფის მოვლის მანეკენი; ქალისა და მამაკაცის საშარდე გზების კათეტერიზაციის მანეკენები; ხელის (მკლავის) მანეკენი ინტრავენური ინექციებისათვის; ხელის მტევნის მანეკენი ინტრავენური ინექციებისათვის; ინტრავენური ინექციების სიმულატორი (მანჟეტი); ხელის (მკლავის) მანეკენი ნაკერების დასადებად; ტრავმის სიმულატორი.

კლინიკური უნარების ცენტრი ასევე აღჭურვილია სპეციალური სადგურებით, რომლებიც იძლევა **OSPE (Objective Structured Practical Examination)** და **OSCE (Objective Structured Clinical Examination)** გამოცდების ჩატარების სწრაფ და ეფექტურ საშუალებას;

- **მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის ლაბორატორია** სრულად ფარავს მიკრობიოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის შემსწავლელი საგნების მოთხოვნებს. აღჭურვილია თანამედროვე მიკროსკოპებით, ლაბორატორიული აღჭურვილობით - რომელის გამოიყენება როგორც მიკროოგანიზმების ზრდისა და კულტივირებისთვის, ასევე ბაქტერიოლოგიური ანალიზებისა და ბაქტერიოგრამების წარმოებისთვის. პარალელურად მიკროსკოპები დამატებით გამოიყენება ისეთი საგნების სწავლების დროს, როგორებიცაა ჰისტოლოგია, ციტოლოგია და ემბრიოლოგია;
- **ქიმიისა და ბიოქიმიის ლაბორატორია** აღჭურვილია ლაბორატორიის ფუნქციონირებისთვის საჭირო თანამედროვე ინვენტარით და რეაქტივებით. სადაც იწარმოება ქიმიური და ბიოლოგიური ცდები როგორც მედიცინის, ასევე ფარმაციის პროგრამის სტუდენტებისთვის;
- **საბაზისო სასწავლო დისციპლინების შემსწავლელი კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტიპის მულაჟებითა და თვალსაჩინოებებით;**
- **ბოტანიკისა და ფარმაკოგნოზის კაბინეტი;**
- **სტომატოლოგიური კლინიკა** აღჭურვილია სტომატოლოგიური სავარძლებითა და საჭირო ინვენტარით, რომელიც ამარტივებს და უფრო ეფექტურს ხდის სტუდენტების განათლებას კლინიკური სწავლების ეტაპებზე.
- კლინიკაში სტუდენტები ახორციელებენ მანიპულაციებს პაციენტებზე პროფესორების მეთვალყურეობის ქვეშ. აღნიშნული ხელს უწყობს მათი კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და მომზადებას მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.
- კლინიკას დათმობილი აქვს 178 კვ.მ ფართი;
- პრეკლინიკური სწავლების ეტაპზე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ფანტომებზე, მულაჟებზე, ყბის მოდელებსა და კბილების ენდოდონტიურ ბლოკებზე განახორციელონ პრაქტიკული მანიპულაციები. ამისათვის **უნივერსიტეტში შექმნილია საფანტომო სწავლების 3 კაბინეტი.**
- ასევე, კლინიკის გვერდით მდებარეობს ლაბორატორია, სადაც სტუდენტებს ღორის თავებზე ქირურგიულ მანიპულაციების განხორციელების საშუალება აქვთ.
- **ანატომიის ლაბორატორია** აღჭურვილი თანამედროვე მულაჟებითა და ციფრული ტექნიკით, კერძოდ:
- **ანატომიური მაგიდით**, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეისწავლონ ადამიანის ანატომია და მიიღონ იმერსიული და ინტერაქციული გამოცდილება. **3D ანატომიური მოდელების მეშვეობით შეისწავლონ** და დათვალიერონ ადამიანის სხეულის ორგანოები, ქსოვილები და სხვადასხვა სტრუქტურა როგორც მიკროსკოპულ, ისე მაკროსკოპულ დონეზე.
- **3D ვირტუალური რეალობის სათვალეები** - ვიზუალურად წარმოაჩენს ადამიანის ანატომიას ვირტუალური რეალობის სამყაროში, რაც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ანატომიურ დეტალებს, რომლებსაც ვერ ვხედავთ ჩვენს ფიზიკურ სამყაროში. დისექციის საშუალებით შრეობრივად მოხდეს გვამების ანალოგიური ხილვადობის მასალის დაშლა და ანატომიური

სიზუსტის დონეზე თითოეული ორგანოსა და ქსოვილის ხილვა. შესაძლებელს ხდის 2500-ზე მეტი ანატომიური სტრუქტურის ვიზუალიზაციას.

მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებისთვის

საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის განკარგულებაშია უნიკალური მულტიფუნქციური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უწყვეტად იზრდება და ვითარდება. ბაზის შემადგენელი ერთეულებია:

- მარანი „კოლხი“, ქართული ტრადიციების დაცვით აგებული, გამორჩეული არქიტექტურის მქონე მარანი, რომელიც წარმოადგენს უძველესი ქართული ქვევრებით აღჭურვილ მარანს, საწნახელს, ვინოთეკას, მიკროვინიფიკაციისათვის გათვალისწინებულ თანამედროვე ტექნიკა-ინვენტარს. მარანი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სრულად და ინდივიდუალურად გაიარონ საწარმოო ციკლის ყველა ეტაპი და განახორციელონ პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი სამუშაოები;
- ვაზისა და ღვინის მიკრობიოლოგიის, ვაზის ბიოლოგიისა და მევენახეობის, ენოქიმიის, ექსპერიმენტული მიკროვინიფიკაციის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებშიც ღვინოს დამზადების ყველა ეტაპზე ჩაუტარდება ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევა;
- თანამედროვე სტანდარტების სრული დაცვით დაკომპლექტებული სადეგუსტაციო დარბაზი, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სრულფასოვნად შეისწავლონ ღვინის ორგანოლექტიკა;
- ქართული უნიკალური ვაზის 115 ენდემური ჯიშის საკოლექციო ნაკვეთი, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს დააკვირდნენ ვაზის განვითარების ყველა ფაზას;
- „ეთნო ოკამის“ ღვინის საწარმო, მარანი და 10 ჰა მსხმოიარე ვენახი;
- სტუდენტური სივრცე.

სასწავლო-კვლევით ლაბორატორიებში და კაბინეტებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, სწავლების თანამედროვე მეთოდების ინტეგრირებით ერთ სივრცეში მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. ახალმა ექსპერიმენტული მიკროვინიფიკაციის ლაბორატორიამ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები შექმნა როგორც ინოვაციური სწავლებისათვის, ისე პრაქტიკული სწავლების გაძლიერებისა და გამრავალფეროვნებისთვის.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში დიდ როლს ასრულებს ოკამის ღვინის ქარხანა, დღეისათვის უკვე გაშენებული და მსხმოიარობაში მყოფი 10 ჰა ვენახით. ყოველწლიურად ინტენსიურად იზრდება ვენახების ფართობი და გაშენებული ჯიშების სახეობები. სტუდენტებს კი შესაძლებლობა აქვთ, დაუბრკოლებლად მიიღონ მონაწილეობა ვაზის გაშენება-მოვლის თუ ყურძნის დაწურვა-გადამუშავების ყველა საველე და საწარმოო ოპერაციაში.

შემუშავებულია „ოკამის“ ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციის და განახლების გენერალური გეგმა, დაგეგმილია მრავალპროფილიანი საწარმოო და ტურისტული დესტინაცია. მოცემული მომენტისათვის მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები, დასრულების პროცესშია ქართული ტრადიციული მარნის მშენებლობა, რომელიც განსაზღვრულია 30 ათასი ტონა ქვევრის ღვინის წარმოებაზე, გაფართოვდა ვენახების ფართობი, ჩაიყარა ქართლის მაღალხარისხიანი ენდემური ვაზის ჯიშების ნერგები.

მარანი „კოლხი“ – მაღალხარისხოვანი და ტრადიციების დაცვით გამორჩეული არქიტექტურის მქონე ნაგებობაა, რომელიც ქართული მეღვინეობის სწავლების ერთ-ერთი მთავარი

კომპონენტი. ქართული მარანი აღჭურვილია ტრადიციული ქართული მევენახეობა - მეღვინეობისათვის დამახასიათებელი ინვენტარითა და ტრადიციული სამეურნეო ტექნიკით, 60-მდე ქვევრით სამი განსხვავებული ტიპის მარანში.

დღეისათვის ქვევრებში დაყენებულია შემდეგი ქართული ღვინოები: ოცხანური საფერავი; ოცხანური საფერავი ჭაჭაზე დაყენებული; ჩხავერი; ჩხავერი ჭაჭაზე დაყენებული; ოჯალეში; ოჯალეში ჭაჭაზე დაყენებული და სხვა.

ქვევრებში დაყენებულ ქართულ ღვინოებს, უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში განუწყვეტლივ, დაღვინების ყოველ ეტაპზე უტარდება დაკვირვება და ხდება იმ პროცესების მართვა, რომლებიც ქვევრის ღვინის ხარისხის ამაღლებასთან არის დაკავშირებული. სტუდენტები შეისწავლიან საეკლესიო ღვინის, ზედაშეს დაყენებასა და მის თავისებურებებს.

ქართული ექსპერიმენტული მარნისა და ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნის პარალელურად, მჭიდრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან, საქართველოსა და უცხოეთის წამყვან ღვინის ქარხნებთან, რომლებთანაც ხელი მოეწერა მემორანდუმებს, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათ ბაზაზე პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად.

მარანში „კოლხი“ იქმნება ე.წ. „სტუდენტური ღვინოები“, რომელთა პრეზენტაცია უკვე მოხდა არაერთ ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ფესტივალებზე და კონკურსებზე. (ახალი ღვინის ფესტივალი 2019- თბილისი, საქართველო; რადიკალური ღვინოების ფესტივალი 2020 - მადრიდი, ესპანეთი; საეკლესიო ღვინოების ფესტივალი 2021 - საგურამო, საქართველო). აღნიშნული ღვინოების განვითარების ბაზაზე შეიქმნა „ეთნო ოკამის“ მაღალხარისხიანი ღვინოები: ხაშმის საფერავი, რქაწითელი, შავკაპიტო, თავკვერი, ჩინური/გორული მწვანე, ხიდისთაური, გორული მწვანე, შავკაპიტო - ვარდისფერი, საფერავი-ვარდისფერი, თავკვერი-ვარდისფერი. აღნიშნული ღვინოების ნაწილი წარდგენილი იყო რამდენიმე საერთაშორისო კონკურსზე. მიღებული ჯილდოებია: 2020 წლის შავკაპიტო ქვევრის - ოქრო (ქართული ღვინის გილდია); 2020 წლის თავკვერი ქვევრის - ბრინჯაო (ქართული ღვინის გილდია); 2021 წლის ოკამი (შავკაპიტო) - როსსო („მერანოს“ ღვინის ფესტივალი, ასოციაცია ქართული ღვინო).

კომპანია ეთნო ოკამმა სამართლებრივი სტატუსი 2020 წლის დეკემბერში მიიღო. მისი მიზანია ქართული ტრადიციული წესების დაცვით აწარმოოს მაღალი ხარისხის ქვევრის ღვინო და კვლევების საფუძველზე ეტაპობრივად გაამდიდროს ასორტიმენტი. უმთავრესი ამოცანა არა რაოდენობის ზრდა, არამედ ხარისხიანი პროდუქციის წარმოება და საერთაშორისო ბაზრებზე აქტიური პოზიციონირება. კომპანიის საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია და სტუდენტები.

შემუშავებულია ეთნო ოკამის ბაზის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის ძირითადი იდეა ეფუძნება აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული საუნივერსიტეტო სივრცის ათვისებისა და განვითარების ახლებურ გააზრებას, არსებული პოტენციალის დივერსიფიკაციას, ახალი ეთნო და აგროტურისტული დესტინაციის ჩამოყალიბებას. პროექტის მომზადებისა და განხორციელების ეტაპებზე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად უნივერსიტეტის, მათ შორის-მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის სტუდენტების აქტიური მონაწილეობა, მათი მენეჯერული და სამეწარმეო უნარების განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ინფრასტრუქტურას დაემატა **თანამედროვე, კომფორტული სტუდენტური სივრცე**. მათ აქ აქვთ რელაქსაციის, მეცადინეობის, ჯგუფური

კომუნიკაციის საშუალება, სადაც იზადება ახალი კრეატიული იდეები, ინიციატივები, ტარდება შეხვედრები დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, პრაქტიკოს მეღვინეებთან, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის ცნობად სახეებთან.

მიუხედავად მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებული საუკუნოვანი გამოცდილებისა, ჩვენი ქვეყანა ღვინის ტურიზმის სფეროში განვითარების საწყის ეტაპზეა. სწორედ ამ მიმართულების ხელშეწყობისა და მისი შემდგომ, სისტემური განვითარების ეტაპზე გადასვლის მიზნით შეიქმნა **ასოციაცია GETA**, რომელიც დაფუძნების დღიდან ორიენტირებულია ჩამოაყალიბოს მართვის ეფექტური და დემოკრატიული სისტემა, სადაც ყველა წევრს წესდების საფუძველზე ექნება ე.წ. ხმის უფლება.

GETA-მ ოფიციალური იურიდიული სტატუსი 2021 წლის 22 მარტს შეიძინა და ჩვენი ევროპელი პარტნიორების აქტიური ჩართულობით, დაჩქარებული პროცედურების გავლით უკვე მოხერხდა მსოფლიოს ენოტურიზმის ასოციაციის ოფიციალურ წევრად დარეგისტრირება, რაც არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ საქართველოსთვისაც ახალი შესაძლებლობების ფანჯარაა;

მიუხედავად საქმიანობის ძალიან მოკლე ისტორიისა **GETA-ს** გუნდი აერთიანებს უდიდეს გამოცდილებას, მათ შორის საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის, ფინანსების, ტურიზმის, მევენახეობა-მეღვინეობის, კერძო-საჯარო პარტნიორების, საჯარო მმართველობის, მონიტორინგის და შეფასების მიმართულებებით;

აღსანიშნავია ისიც, რომ ასოციაციის მმართველი გუნდი დაკომპლექტებულია არა მხოლოდ საქართველოში მოღვაწე წარმატებული მენეჯერებით და დარგის სპეციალისტებით, არამედ ევროპის ქვეყნებში მცხოვრები და მოღვაწე პროფესიონალებით, რომლებსაც აქტიურად გააქვთ ჩვენი ქვეყნის სახელი მის ფარგლებს გარეთ და ძალისხმევას არ იშურებენ დაეხმარონ საქართველოში ყველა დაინტერესებულ მხარეს ევროპული გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის ხელმისაწვდომობაში;

გვჯერა, რომ გუნდური მუშაობით ყველა ერთად შევძლებთ საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, საოჯახო მარნების და მათი პროდუქციის წარმატებებში აქტიური წვლილის შეტანას, საგანმანათლებლო ღონისძიებების უწყვეტობას, მსხვილი ბიზნესის ახალ შესაძლებლობებზე გაყვანას და რაც მთავარია, საქართველოს სახელის, როგორც ღვინის ტურიზმისთვის ერთ-ერთი საუკეთესო დანიშნულების ადგილის გატანას საერთაშორისო ასპარეზზე;

ღვინის ტურიზმის მიმართულებით მეტი ევროპა საქართველოში და მეტი საქართველოს პროდუქტი ევროპაში, ეს არის **GETA-ს** გუნდის უცვლელი მიზანი, რომლის შესრულებასაც სწორედ ამ დარგის გულწრფელ მხარდამჭერებთან ერთად ვაპირებთ.

გარდა ამისა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის “**გლობალური ღვინის ტურიზმის ორგანიზაციის დამფუძნებელი**“ (GWTO).

მიუხედავად ამისა, პრაქტიკული კომპონენტის ეფექტურად განხორციელების მიზნით, დღეისათვის მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული არაერთ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან და კომპანიებთან, რაც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას რეალურ სამუშაო გარემოში.

პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი

უნივერსიტეტში დღეს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სათანადო სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამების განხორციელების პროცესში ასევე ჩართულნი არიან დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი კლინიცისტები.



The logo of Caucasus International University is a circular emblem. It features a red outer ring with the university's name in Georgian and English. The center contains a stylized graphic of a building or monument in white and red.

აკრედიტებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა – 240 კრედიტიანია, სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი, 8 სემესტრია; სწავლების ენა – ქართული / ინგლისური.

სტუდენტები, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არა აქვთ ჩაბარებული ინგლისური ენა, დამატებით 1 სემესტრის განმავლობაში გაივლიან ინგლისური ენის კურსს, შესაბამისად, მათთვის, პროგრამა 245 კრედიტიანი იქნება.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

სწავლების პერიოდი და მოცულობა

- ერთი აკადემიური წელი მოიცავს 38 კვირას;
- I სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა;
- II სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა.

აქედან:

ა) 1-15 კვირა სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია-სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება და დაცვა.

ბ) მე-16 – მე-18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია;

გ) მე-19 კვირას ტარდება განმეორებითი გამოცდები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი შეფასება ითვალისწინებს ორ შემადგენელ ელემენტს - შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს.

შუალედურ შეფასებებში მოიაზრება ყოველკვირეული შეფასებები და შუალედური გამოცდის შეფასება.

- **შუალედურ შეფასებებში** სტუდენტმა შეიძლება ჯამში მაქსიმუმ 60 ქულა დააგროვოს, აქედან 40 ქულა ყოველკვირეულ შეფასებებზე მოდის, ხოლო 20 ქულით შუალედური გამოცდა ფასდება, რომელიც თითოეულ საგანში სემესტრში ერთხელ ტარდება;
- **დასკვნითი გამოცდა** სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულაა;**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება** სტუდენტის მიერ მინიმუმ 51 ქულის დააგროვების შემთხვევაში.
- ყველა საბაკალავრო პროგრამით, (გარდა ფარმაციის საბაკალავრო პროგრამისა), გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის / საბაკალავრო პროექტის მომზადება და დაცვა;
- ყველა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია პრაქტიკა.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40 ქულა	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

მაქსიმალური დადებითი შეფასება - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;

სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა სემესტრის განმავლობაში უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (1 კრედიტი = 25 საათი, 30 კრედიტი = 750 სთ), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი (1500 სთ), თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური

დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე - **საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA)**.

GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). Fx და F შეფასება GPA – გამოთვლაში განიხილება 0-ის ტოლად.

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობა

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა:

ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება.

კვალიფიკაციის / ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

GPA 3.5 და მეტი – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები- ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში იმავე სფეროს სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი სფეროს სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სფეროს ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

ვიწრო სფერო

ბიზნესი და ადმინისტრირება

დეტალური სფერო

მენეჯმენტი და ადმინისტრირება

სწავლის სფერო

მენეჯმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში

Bachelor of Business Administration (BBA) in Management

პროგრამის

ხელმძღვანელი მამუკა

თორია, ეკონომიკის

აკადემიური დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის

ბიზნესისა და

ტექნოლოგიების

ფაკულტეტის

ასოცირებული

პროფესორი.

მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი 240 კრედიტიდან:

სავალდებულო კომპონენტები: 177 კრედიტი,

მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი;
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 63 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (მენეჯმენტის) სავალდებულო სასწავლო კურსები – 92 კრედიტი;

არჩევითი კომპონენტები: 44 კრედიტი,

მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (მენეჯმენტის) არჩევითი სასწავლო კურსები – 26 კრედიტი;

თავისუფალი კომპონენტები: 19 კრედიტი.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- **მოძიების და ამუშავების** მონაცემებს ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულებისა და შიდა ორგანიზაციული პროცესების პირველადი ანალიზის, ოპერატიული გეგმებისა და სამოქმედო გეგმების შესახებ წინასწარ მიღებული მითითების შესაბამისად;
- **მოძიების და იყენების** რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების მომზადება-წარდგენის, თავმოყრისა და კლასიფიკაციის მიზნით;
- განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში **მონაწილეობს** კონკრეტული პროექტების, ოპერაციებისა და სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით;
- **ამყარებს** კომუნიკაციას სხვადასხვა სოციალურ, ინტერკულტურულ, ინტერდისციპლინურ და დარგობრივ ჯგუფებთან, ორგანიზაციის მართვის სფეროში არსებული აქტუალური საკითხების შესახებ;
- **შეიმუშავებს** საქმიან დოკუმენტებს საკუთარი ბიზნესის შექმნისა და შემდგომი მართვის მიზნით.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული სტანდარტული მეთოდები:

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, იგულისხმება ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა, ან Power Point –ით პრეზენტაცია;

ჯგუფში დისკუსია/დებატები, რაც ითვალისწინებს სტუდენტების კამათში გამოწვევას, ინტერაქტიული ლექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირებას;

წიგნზე მუშაობის მეთოდი;

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს: ტესტურ მუშაობას, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისების, ესეებისა და რეფერატების მომზადებას;

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - ინფორმაციის მოძიება-და-მუშავება, სწავლის სფეროსთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენებისთვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.)

ისე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება, მაგალითად:

ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერის გაკეთება;

ჯგუფში მუშაობისას - **ვერბალური** (შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და დისკუსიები/დებატები, პრეზენტაციის/მოხსენების წარდგენა), **წერითი** (დავალეზის/პრეზენტაციის მომზადება), **საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება** (კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გაფორმებული/ილუსტრირებული მოხსენებები/პრეზენტაციები და ა.შ.).

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული: პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია-დებატები, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (**PBL**), თანამშრომლობითი სწავლება (**cooperative**), შემთხვევის ანალიზი (**Case study**), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება, სტუდენტთა მოტივაცია, სტუდენტთა მიერ ცოდნა-მომზადების ურთიერთშემოწმება (მეთოდიკა "პედაგოგიური როლები სტუდენტებისათვის" და მეთოდიკა "ინტერვიუ წყვილებში").

სწავლების პროცესში გამოიყენება ასევე: სტუდენტის მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკული ანალიზი და შეფასება; სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება; ინფორმაციის მოძიება ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული ტექნიკის ან/და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის გამოყენებით, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის და ლიტერატურის მიმოხილვა.

სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო, ხოლო სტუდენტების მონაწილეობა - უფრო აქტიური ხდება. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას.

სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლებისას პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ისეთ აქტუალურ მიმართულებაზე, როგორიცაა გუნდური პროექტების/ბიზნეს-გეგმების მომზადება და პრეზენტაცია.

სახელდობრ, სემესტრის მანძილზე, პროგრამის რიგი ძირითადი საგნების შესწავლისას, სტუდენტური გუნდები ამზადებენ და საპრეზენტაციოდ წარმოადგენენ სასწავლო-შემეცნებით პროექტებს და ბიზნეს-გეგმებს.

დასაქმების სფერო

პროგრამის დასრულების შემდეგ, სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებული ზოგადი კომპეტენციებისა და კონკრეტული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მენეჯმენტში შეეძლება:**

- დასაქმდეს სახელმწიფო, საჯარო და ბიზნეს-სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო კომპანიებში საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერად, სპეციალისტად, ან ექსპერტ-კონსულტანტად;
- ბიზნეს-ორგანიზაციების (საწარმოო და მომსახურების ფირმები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ.) წამყვან დეპარტამენტებში დაიკავოს შემდეგი პოზიციები: ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, ლოჯისტიკის მენეჯერი, საწარმოო პროცესების და ოპერაციების მენეჯერი, ინოვაციების მენეჯერი, პროექტების მენეჯერი და სხვ.

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

ვიწრო სფერო

ბიზნესი და ადმინისტრირება

დეტალური სფერო

ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა

სწავლის სფერო

ფინანსები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში

Bachelor of Business Administration (BBA) in finance

პროგრამის ხელმძღვანელი თეა ლაზარაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი 240 კრედიტიდან:

სავალდებულო კომპონენტები: 180 კრედიტი,

მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22/27 კრედიტი;
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 64 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (ფინანსების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 94 კრედიტი;

არჩევითი კომპონენტები: 44 კრედიტი,

მათ შორის:

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (ფინანსების) არჩევითი სასწავლო კურსები – 26 კრედიტი;

თავისუფალი კომპონენტები: 16 კრედიტი.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები

ვერბალური - თემის ახსნა, გამოკითხვა, მსჯელობა, დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია;

წერიითი - პრაქტიკული მეცადინეობებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან და სხვა;

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, სწავლის სფეროსთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენებისთვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.),

ისე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება, მაგალითად:

ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერი;

ჯგუფში მუშაობისას - ვერბალური (შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია/მოხსენება), წერიითი (დავალების/პრეზენტაციის მომზადება), საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება (კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გაფორმებული/ილუსტრირებული მოხსენებები/პრეზენტაციები და ა.შ.).

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული:

პრაქტიკული მეთოდები:

დისკუსია-დებატები;
ჯგუფური (collaborative) მუშაობა
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
თანამშრომლობითი სწავლება (cooperative);
შემთხვევის ანალიზი (Case study);
როლური და სიტუაციური თამაშები;
დემონსტრირების მეთოდები;
ინდუქცია, დედუქცია; ანალიზი და სინთეზი;
ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

სწავლების პროცესში გამოიყენება ასევე: სტუდენტის მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკული ანალიზი და შეფასება; სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება; ინფორმაციის მოძიება ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული ტექნიკის ან/და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის გამოყენებით, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის და ლიტერატურის მიმოხილვა. სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი ხდება, ხოლო სტუდენტების მონაწილეობა - უფრო აქტიური.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- განსაზღვრავს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ურთიერთდაკავშირებას და პრაქტიკაში გამოყენებას;
- ეწევა საფინანსო სფეროში, ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში პრაქტიკულ საქმიანობას, ეცნობა სტატისტიკურ მასალებს, საინფორმაციო ბაზებსა და პროგრამებს, ფინანსურ ანგარიშებს, აყალიბებს შესაბამის დასკვნებს;
- აანალიზებს ბიზნესისა და საფინანსო სფეროში მიმდინარე პროცესებსა და ტენდენციებს;
- იყენებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ეთიკურ ასპექტებს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ, სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებული ზოგადი კომპეტენციებისა და კონკრეტული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსების სპეციალობით შეიძლება დასაქმდეს:**

ნებისმიერი სფეროს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბიზნეს-სტრუქტურებში, მათ შორის საფინანსო-საბანკო და სადაზღვევო კომპანიებში, საფინანსო განყოფილებებსა და ბუღალტერიაში, ადმინისტრაციაში, ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში მენეჯერის, საკრედიტო ოფიცრის, საკრედიტო მენეჯერის, გაყიდვების მენეჯერის და სხვ. თანამდებობაზე.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

მომსახურებები

ვიწრო სფერო

პერსონალური მომსახურებები

დეტალური სფერო

მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება

სწავლის სფერო

ტურიზმი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

Bachelor of Business Administration of Tourism

პროგრამის ხელმძღვანელი

ლალი მიქელაძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი 240 კრედიტიდან:

სავალდებულო კომპონენტები: 180 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 44 კრედიტი
- სწავლის სფეროს (ტურიზმის) სავალდებულო სასწავლო კურსები – 114 კრედიტი

არჩევითი კომპონენტები: 60 კრედიტი, მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (ტურიზმის) არჩევითი სასწავლო კურსები – 22 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტები: 20 კრედიტი.

პროგრამის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლების პარალელურად სტუდენტი ვალდებულია 2 სემესტრის განმავლობაში, 10 კრედიტის მოცულობით შეისწავლოს მეორე უცხო ენაც, თავისი სურვილის მიხედვით. ეს ენებია: გერმანული და რუსული. გარდა ამ ენებში ლექსიკა, გრამატიკის სწავლებისა გათვალისწინებულია გერმანულ ან რუსულ ენებზე, ტურიზმის დარგობრივი ტერმინოლოგიის სწავლება.

გარდა ამისა, დაჯავშნის კომპიუტერულ სისტემაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, პროგრამაში 5 კრედიტის მოცულობით გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსი, როგორიცაა დაჯავშნის საერთაშორისო სისტემები.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული სტანდარტული მეთოდები, ასევე არასტანდარტული, სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც დარგის შესწავლის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**, იგულისხმება ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა, ან Power Point –ით პრეზენტაცია;
- **გასვლითი ლექცია** შესაბამის საწარმოსა თუ დაწესებულებაში, ასევე, ტურისტული ატრაქციის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- **დარგის სპეციალისტის ლექცია**;
- **მასტერკლასი** – როდესაც პრაქტიკულ მეცადინეობაზე დარგის სპეციალისტი საკუთარი სპეციფიკური უნარების დემონსტრირებას ახდენს და სტუდენტების მიერ ასეთი უნარების ათვისებას უწყობს ხელს;
- **ჯგუფში დისკუსია/დებატები**, რაც ითვალისწინებს სტუდენტების კამათში გამოწვევას, ინტერაქტიული ლექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირებას;
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი**;
- **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს: ტექსტურ მუშაობას, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისების, ესეებისა და რეფერატების მომზადებას;
- **გუნდური მუშაობა**, რაც ითვალისწინებს აკადემიურ ჯგუფებში 5-6 კაციანი გუნდების ჩამოყალიბებას, გუნდებში ლიდერული უნარების მქონე პიროვნებათა გამოვლინებას, გუნდების მიერ სემინარებისა და დროში გაწერილი სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების ერთობლივ პრეზენტირებას, გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას;
- **თანამშრომლობითი მეთოდი**, როცა ხდება სტუდენტთა ცოდნისა და გადმოცემის უნარის ურთიერთშეფასება, სტუდენტთა თვითშეფასების გამოყენება საბოლოო შეფასების ფორმირებისას;
- **შემთხვევის ანალიზი ანუ მეთოდი case-study**, რომელიც აღწერს ისეთ კონკრეტულ სიტუაციებსა და პრობლემებს, რომლებიც საჭიროებენ განსჯას. ეს მეთოდი გამოდის სტუდენტთა ლოგიკური აზროვნების წამახალისებლის როლში;
- **ბრენსტორმინგი** გულისხმობს სტუდენტთა გონებრივი შესაძლებლობების რეალიზაციის სტიმულირებას, რომლის დროსაც ერთი საკითხის ირგვლივ ხდება სტუდენტთა სხვადასხვა იდეების გენერირება და მათი კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით;
- **დემონსტრირების მეთოდი** იყენებს ბეჭდური და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მასალებს (მაგალითად ტურისტული კომპანიების სარეკლამო ბროშურები, სასტუმრო ბრენდების ყოველწლიური ჟურნალები, ვიდეორგოლები, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები და ა. შ.);
- **ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი**, რომელიც გამოიყენება სტატისტიკური და წმინდა ეკონომიკური მოვლენების აღწერისას;
- **ბიზნეს-სიმულაციების მეთოდი**, რაც გულისხმობს სტუდენტისათვის პრაქტიკული ხასიათის დავალებების მიცემას და პარტნიორი ტურისტული პროფილის ორგანიზაციებთან ერთად საუკეთესოების გამოვლენას, ასევე ვირტუალური ბიზნესის წამოწყებასა და განვითარებას;
- **ინოვაციური ინფორმაციის/მასალის მოძიება** და საშინაო დავალებების ჯგუფური განხილვა;
- **ვერისტიკული მეთოდი**, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება**.

პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საქართველოს ბიზნეს-საგანმანათლებლო სივრცისათვის ისეთ ახალ და აქტუალურ მიმართულებაზე, როგორიცაა გუნდური პროექტების/ბიზნეს-გეგმების მომზადება და პრეზენტაცია.

სახელდობრ, სემესტრის მანძილზე, პროგრამის რიგი ძირითადი საგნების შესწავლისას, სტუდენტური გუნდები ამზადებენ და საპრეზენტაციოდ წარმოადგენენ სასწავლო-შემეცნებით პროექტებს და ბიზნეს-გეგმებს.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- **ახდენს** საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, მსოფლიო ტურისტული ცენტრების პოტენციალის და ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას დანიშნულების ადგილის მიხედვით და აკავშირებს ტურიზმის შესაბამისი სახეებისა და მიმართულებების განვითარებასთან;
- **მონაწილეობს** ტურისტულ საწარმოთა მართვასა და პროდუქტების პროექტირებაში, მომსახურების ეფექტიანი თემატური პროგრამების შემუშავებაში, სამომხმარებლო ფასეულობების შექმნაში; ტურისტულ რესურსებთან ერთად **იყენებს** სტატისტიკურ მაჩვენებლებს, ბულალტრული აღრიცხვის მეთოდებს და სხვა საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებს: საერთაშორისო დაჯავშნის სისტემებს, (სასტუმროს მართვის პროგრამას opera) და ა.შ. ქმნის პოტენციურ მომხმარებელთა შეთავაზება - გაყიდვის სტიმულირების ფორმებს;
- **აანალიზებს** ტურისტული ინდუსტრიის სექტორების (განთავსება, კვება, ტრანსპორტი, ტურისტული კომპანიები, ღონისძიებების ორგანიზება-მართვა) ურთიერთკავშირს, ტენდენციებს, წამოჭრილ პრობლემებს, მოსალოდნელ საფრთხეებს; მარკეტინგული კვლევის მონაცემთა დაკავშირება-შეფასების საფუძველზე ახდენს მათი გადაჭრის სტრატეგიების დაგეგმვას სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით;
- ხელმძღვანელის რეკომენდაციებით და პროფესიული ინტერესის შესაბამისად **ქმნის** ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ კვლევით /ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ ნაშრომს და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახორციელებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას მშობლიურ ან უცხო ენაზე, ტურიზმში მონაწილე ყველა სუბიექტთან;
- ტურისტულ სექტორში საქმიანობის პროცესში **იცავს** ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსის ნორმებს, პატივს სცემს სხვა ერების ღირებულებებს, კულტურას, ტრადიციებს, მოქმედებს სამართლებრივი და პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპების შესასაბამისად.

2014 წლიდან TEMPUS-ის საგრანტო პროექტის ფარგლებში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მონაწილეობდა საგრანტო პროგრამაში უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობისა და თანამშრომლობის განვითარების კუთხით. ეს პროექტი მიმართული იყო შავი ზღვის რეგიონში საკრუიზო ტურიზმის ქსელის განვითარების ხელშეწყობი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგების შემუშავებისკენ. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო ე. წ. ცოდნის სამკუთხედის - განათლება, კვლევა, ინოვაციები - გზით - შავი ზღვის აუზის ქვეყნების, კერძოდ კი საქართველოს ინტეგრაციას საკრუიზო ტურიზმის ბაზარზე. პროექტის განხორციელების შედეგად უნივერსიტეტში შეიქმნა კომპეტენციის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს საკრუიზო ტურიზმის რეგიონულ კვლევებსა და კონსალტინგს, საკრუიზო ტურიზმში მონაწილე ეკონომიკურ სუბიექტთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

ტემპუსის #543681 პროექტში „CruiseT“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გარდა, მონაწილეობდა გერმანიის, იტალიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უკრაინის თხუთმეტი უმაღლესი სასწავლებელი, ასევე საქართველოს 3 უმაღლესი სასწავლებელი (გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის საზღვაო აკადემია, ქუთაისის უნივერსიტეტი).

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ევროპელმა პარტნიორებმა, TEMPUS-ის პროექტის CruiseT-ისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის რეგიონული განვითარების ცენტრის ფარგლებში, ტურიზმის დარგში მომუშავე სპეციალისტების, ტუროპერატორების, კერძო თუ სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებისა და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში დასაქმებულთათვის ჩაატარეს ხუთი თემატური ტრენინგი.

ესენია ტრენინგ კურსები: „მწვანე ტურიზმი“; „კვება და სასმელები ტურიზმში“; „დესტინაციის მენეჯმენტი“ „მომსახურების ხელოვნება ტურიზმში“; „ღვინის ტურიზმი“.

აღნიშნული ტრენინგები ასევე ჩატარდა რეგიონებში (მცხეთის და გორის მუნიციპალიტეტები). ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს ორენოვანი სერთიფიკატები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს გადაეცა 17.000 ევროს ღირებულების ევროპაში წარმოებული კომპიუტერული ტექნიკა, შესაბამისად შეიქმნა და აღიჭურვა „ტემპუსის აუდიტორია“. ამავე პროექტის ბიუჯეტით (2.000 ევრო) შეძენილია ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა ბიბლიოთეკისთვის. კსუ-ს 9 სტუდენტი მონაწილეობდა „საზაფხულო სკოლაში“ ხერსონსა (უკრაინა) და ბათუმში.

TEMPUS-ის პროექტის CruiseT-ის ფარგლებში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა გერმანიასა და იტალიაში აიმაღლეს კვალიფიკაცია, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ოდესაში, ხერსონში (უკრაინა); ბრემენჰაფენში (გერმანია); ბოლცანოში (იტალია); ვარნაში (ბულგარეთი); კონსტანცაში (რუმინეთი); ბათუმში; ქუთაისსა და თბილისში.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) პროექტის - „უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ჯანმრთელობის ტურიზმში“ („Internationalization of International Health Tourism“) მონაწილეა.

პროექტის მონაწილეები არიან:

1. THD -დეგენდორფის ტექნოლოგიების ინსტიტუტი (გერმანია);
2. ESPA -ევროპის სპა ასოციაცია;
3. CIU-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (საქართველო);
4. VSE -პრადის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი;
5. BMU-ბუდაპეშტის მეტროპოლიტენ-უნივერსიტეტი;
6. FTHM- ხორვატიის რიჟეკას უნივერსიტეტი;
7. KSU-ხერსონის სახელმწიფო უნივერსიტეტი*.

პროექტის ფარგლებში გერმანიის დეგენდორფის ტექნოლოგიის ინსტიტუტი (TID-Deggendorf Institute of Technology) და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (CIU) საქართველოს სამედიცინო ველნეს და სპა ტურიზმის მდგრადი განვითარების ერთობლივ კვლევას ახორციელებენ.

საველე კვლევის განხორციელების მიზნით, CIU-ს გერმანიის დეგენდორფის ტექნოლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო ტურიზმის მენეჯმენტის პროგრამის დირექტორი, პროფესორი მარკუს ჰარტრაი, ლექტორი კარმენ მენტილი და სტუდენტთა ჯგუფი ეწვია.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან აღნიშნულ კვლევაში, CIU-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და ტურიზმის პროგრამის პროფესორის ხელმძღვანელობით, ტურიზმისა და მედიცინის პროგრამების სტუდენტები მონაწილეობენ.

საველე კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა ბიზნეს სექტორმა, კერძოდ, კვლევაში ჩართულია: ლოპოტას სპა კურორტი, ბიოლის სამედიცინო ველნეს კურორტი, თბილისის ბალნეოლოგიური

სპა კურორტი და სასტუმრო „The House Hotel Old Town“. მკვლევრებს შესაძლებლობა მიეცათ GSTC ინდიკატორებისა და კრიტერიუმების კონტექსტში, ადგილზე შეესწავლათ ზემოაღნიშნული კურორტების კონცეფცია, პროდუქტები, გაჯანსაღების პროგრამები და მეთოდები, ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიები.

პროექტის ფარგლებში, რომელიც 2022-2025 წლებში მიმდინარეობს, გერმანიაში უკვე ჩატარდა 2 საზაფხულო სკოლა, რომელშიც პროფესორებთან ერთად ტურიზმის საბაკალავრო და მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების 10 სტუდენტი მონაწილეობდა.

არა მხოლოდ პროექტში მონაწილე, არამედ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმისა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ პერიოდულად მოისმინონ პროექტში მონაწილე უნივერსიტეტების პროფესორთა ონლაინ ლექციები და გაეცნონ აღნიშნულ სფეროში მათ ქვეყნებში არსებულ პრობლემებსა და წარმატებებს.

2024 წლის ოქტომბერში დაგეგმილია რიგით მე - 3 საზაფხულო სკოლა, რომლისთვისაც შეირჩევა კიდევ 5 ახალი სტუდენტი.

დასაქმების სფერო

საბაკალავრო განათლების მიღების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება იმუშაოს სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო დაწესებულებებში, დარგობრივ ასოციაციებში და იმ კერძო კომპანიებში, რომლებიც ტურიზმთან არიან დაკავშირებული: ტურისტულ კომპანიებსა და სააგენტოებში, სასტუმროებში, სატრანსპორტო კომპანიებში, კვებითი მომსახურების საწარმოებში, ღვინის მარნებში, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში, საერთაშორისო და ეროვნულ ეკონომიკურ ორგანიზაციებში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა

ფართო სფერო

ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

ვიწრო სფერო

ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

დეტალური სფერო

მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება

სწავლის სფერო

ინფორმაციული ტექნოლოგიები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი

Bachelor of Information Technologies

პროგრამის ხელმძღვანელები

მარინე ხიზანიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი.

გიორგი კაკაშვილი, ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

„ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

240 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები: 169 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 19/24 კრედიტი
- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 21 კრედიტი
- სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 129 კრედიტი

არჩევითი კომპონენტები: 51 კრედიტი, მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;
- სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები – 33 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტები: 20 კრედიტი.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული სტანდარტული მეთოდები, ასევე არასტანდარტული, სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც დარგის შესწავლის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, იგულისხმება ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა, ან Power Point –ით პრეზენტაცია;
- ჯგუფში დისკუსია/დებატები, რაც ითვალისწინებს სტუდენტების კამათში გამოწვევას, ინტერაქტიული ლექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირებას;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს: ტესტურ მუშაობას, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისების, ესეებისა და რეფერატების მომზადებას;
- პრაქტიკული სწავლების მეთოდი;
- გუნდური მუშაობა, რაც ითვალისწინებს აკადემიურ ჯგუფებში 5-6 კაციანი გუნდების ჩამოყალიბებას, გუნდებში ლიდერული უნარების მქონე პიროვნებათა გამოვლინებას, გუნდების მიერ სემინარებისა და დროში გაწერილი სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების ერთობლივ პრეზენტირებას, გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას;
- შემთხვევის ანალიზი ანუ მეთოდი case-study, რომელიც აღწერს ისეთ კონკრეტულ სიტუაციებსა და პრობლემებს, რომლებიც საჭიროებენ განსჯას. ეს მეთოდი გამოდის სტუდენტთა ლოგიკური აზროვნების წამახალისებლის როლში;

- **ბრენსტორმინგი** გულისხმობს სტუდენტთა გონებრივი შესაძლებლობების რეალიზაციის სტიმულირებას, რომლის დროსაც ერთი საკითხის ირგვლივ ხდება სტუდენტთა სხვადასხვა იდეების გენერირება და მათი კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით;
- **დემონსტრირების მეთოდი** იყენებს ბეჭდური და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მასალებს;
- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი**;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.**

პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს **გუნდური პროექტების მომზადებასა და პრეზენტაციზე.**

სახელდობრ, სემესტრის მანძილზე, პროგრამის რიგი ძირითადი საგნების შესწავლისას, სტუდენტური გუნდები ამზადებენ და საპრეზენტაციოდ წარმოადგენენ ამა თუ იმ საგანში კონკრეტულ პროექტებს.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- **აანალიზებს** დარგში წარმოქმნილ პრობლემებს შესწავლილი დისციპლინების გათვალისწინებით.
- **აანალიზებს** და ითვალისწინებს მომხმარებლის მოთხოვნებს სხვადასხვა კომპიუტერული სისტემების შემუშავების და ადმინისტრირების პროცესში.
- მოთხოვნების შესაბამისად, **მონაწილეობს** დასმული ამოცანების გადაწყვეტასა და შეფასებაში, ასევე კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში;
- აცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობას და ეთიკური პრინციპების საფუძველზე იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს;
- პროექტების განხორციელების პროცესში **ასრულებს** გუნდის წევრის ან/და ლიდერის მოვალეობას/
- პროექტების დაგეგმვა-შემუშავების პროცესში **ახორციელებს** ეფექტურ კომუნიკაციას.

დასაქმების სფერო

ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრის კვალიფიკაციით კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორებში, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. კერძოდ: მართვის სახელმწიფო ორგანოებში, სასწავლო დაწესებულებებში; საინფორმაციო-საკომუნიკაციო კომპანიებში, ფინანსურ დაწესებულებებში, საბანკო და სადაზღვევო კომპანიებში; სამრეწველო, სატელეკომუნიკაციო, კავშირგაბმულობის და სატრანსპორტო კომპანიებში; კომპიუტერული და ელექტრონიკის სავაჭრო და მომსახურების კომპანიებში; სამართალდამცავ სრუქტურებში; ორგანიზაციებში და კომპანიებში, სადაც მოითხოვება ინფორმაციული ტექნოლოგიის დანერგვა და მათი მუშაობის უზრუნველყოფა.

Bachelor's degree program Information Technologies

Broade field

Information and Communication Technologies

Narrow field

Information and Communication Technologies

Detailed field

Design and administration of databases and networks

Field of study

Information Technologies

Qualification to be awarded

Bachelor of Information Technologies

Program Supervisors

Giorgi Kakashvili, Doctor of Engineering in Informatics, Professor of the Faculty of Business and Technology of the Caucasus International University;

Giorgi Basiladze Doctor of Engineering, Associate Professor of the Faculty of Business and Technology of the Caucasus International University.

Bachelor's Educational Program in "Information Technologies"

240 credits

Compulsory components: 169 credits, among which:

- University compulsory study courses – **19 credits**
- Faculty compulsory study courses – **21 credits**
- Specialty compulsory study courses – **129 credits**

Elective components: 71 credits, among which

- University elective study courses – **10 credits,**
- Faculty elective study courses – **8 credits**
- Specialty elective study courses – **33 credits**

Free components: 20 credits.

Teaching methodology

The organization of the teaching process aims to use such a methodology, which as a result of the practical implementation in the bachelor's program ensures the achievement of knowledge, skills, and competencies corresponding to the bachelor's academic degree.

Both specific standard methods, as well as non-standard, specific methods, which derive from the peculiarities of the study of the field, are used in the teaching process.

- Verbal or oral method;
- Discussion/debate in a group;
- method of working on the book;
- method of written work;
- practical teaching method;

- Teamwork;
- Case analysis or case-study method;
- Brainstorming ;
- The demonstration method;
- Explanatory method;

Action-oriented learning.

The program places special emphasis on the **preparation and presentation of team projects**.

Namely, during the semester, while studying a number of main subjects of the program, student teams prepare and present specific projects for this or that course.

Learning Outcomes

After completing the program, the graduate can:

- **Analyzes** the problems arising in the field, considering the studied disciplines.
- **Analyzes** and considers user requirements in the process of development and administration of various computer systems;
- In accordance with the requests, **participates** in solving and evaluating the problems, as well as in making optimal decisions based on computer technologies;
- **Performs** effective communication in the process of project planning and development;
- Realizes professional responsibility and makes justified decisions based on principles of ethics;
- **Performs** the duties of a team member and/or leader in the process of project implementation;
- **Determines** study needs and plans own development process in the field of information technologies.

Field of employment

Graduates can be employed in public and private sectors that use information technologies in their activities. Namely: in state management authorities, educational institutions; in information and communication companies, financial institutions, banking and insurance companies; in industrial, telecommunication, communication, and transport companies; in computer and electronics trading and service companies; in law enforcement structures; in organizations and companies where it is required to introduce information technology and ensure their operation.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

ვიწრო სფერო

სამართალი

დეტალური სფერო

სამართალი

სწავლის სფერო

სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამართლის ბაკალავრი

Bachelor of Laws (LLB)

პროგრამის

ხელმძღვანელი

გურამ ღვინჯილია, სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი 240 კრედიტიდან:

- (A) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 12 ECTS
- (B) საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 10 ECTS
- (C) ინგლისური ენის (მათ შორის პროფესიული ინგლისურის) მოდულები - 20 ECTS
- (D) სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 148 ECTS
- (E) სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 ECTS
- (F) პრაქტიკული უნარების სავალდებულო კომპონენტი - 20 ECTS

სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები მოიცავს: სამართლის საფუძვლების, საჯარო სამართლის, კერძო სამართლის, სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სასწავლო კურსებს.

სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიდრმაგოს ცოდნა სამართლის ცალკეულ დარგებში. **სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულებიდან სავალდებულოა 30 კრედიტის დაგროვება.** ამასთან, ერთი არჩევითი მოდულიდან, სტუდენტს, სემესტრში, ორი სასწავლო კურსის არჩევის უფლება აქვს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართულ კომპონენტს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი გადის პროფესიული ეთიკის კურსს 5 კრედიტის მოცულობით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტის სახით ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართულ კიდევ ერთ კომპონენტს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი გადის სამ სავალდებულო სასწავლო კურსს, თითოეულს 5 კრედიტის მოცულობით (სულ - 15 კრედიტი). ესენია: პრაქტიკული კურსი საჯარო სამართალში, პრაქტიკული კურსი კერძო სამართალში და პრაქტიკული კურსი სისხლის სამართალში.

სწავლების მეთოდოლოგია

წიგნზე მუშაობა; წერიტი მუშაობა; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი; ვერბალური ახსნა-განმარტება; დემონსტრირება; დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD); როლური და სიტუაციური თამაშები; ევრისტიკული მეთოდი; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; დისკუსია/დებატები; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა); პრაქტიკული მეთოდები.

ყველა პროცესუალური სასწავლო კურსის დასრულებისას პროგრამით გათვალისწინებულია იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატარება.

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული საკანონმდებლო მონაცემთა ბაზა „CODEX“.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

სწავლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ახდენს მიღებული ცოდნის საფუძველზე სამართლის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს;
- ადგენს სამართლებრივ დოკუმენტებს;
- ანალიზებს და იყენებს სამართლის ნორმებს იურიდიული მოქმედებების განხორციელების მიზნით;
- შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას და ტაქტიკას ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;
- ანალიზებს სამართლის სფეროში არსებულ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის გზებს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს, მსჯელობს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმით, მშობლიურ ან/და უცხო ენაზე; შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას და ტაქტიკას ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;
- მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით და იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს;
- წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით.

დასაქმების სფერო

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- კორპორაციულ სტრუქტურებში;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

ბაკალავრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში როგორც პროკურორმა, ადვოკატმა, გამომძიებელმა, მოსამართლის თანაშემწემ (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით), სასამართლო სხდომის მდივანმა; იყოს ნოტარიუსი, ნოტარიუსის თანაშემწე (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით). მისი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ასევე სამართალშემოქმედებითი საქმიანობა; ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადების სამართლებრივი ასპექტები; იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა. შ.) შედგენა; ადამიანის უფლებების დაცვა და განმტკიცება; კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევა.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

ვიწრო სფერო

ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

დეტალური სფერო

ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა

სწავლის სფერო

ჟურნალისტიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ჟურნალისტიკის ბაკალავრი

Bachelor of Journalism

პროგრამის ხელმძღვანელი

ზაზა ცოტნიაშვილი, ჟურნალისტიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ჟურნალისტიკის სპეციალობით.

ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი 240 კრედიტიდან:

სავალდებულო კომპონენტები: 177 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი;
- საფაკულტეტო (სოციალური მეცნიერებების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 15 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (ჟურნალისტიკა) სავალდებულო სასწავლო კურსები – 140 კრედიტი;

არჩევითი კომპონენტები: 63 კრედიტი, მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო (სოციალური მეცნიერებების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (ჟურნალისტიკა) არჩევითი სასწავლო კურსები – 25 კრედიტი;

თავისუფალი კომპონენტები: 20 კრედიტი.

სწავლების მეთოდოლოგია

პროგრამის მრავალწახნაგოვანი თემატიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. მთავარი კი ისაა, რომ ლექტორთა მიერ სილაბუსებში გაწერილი ყველა სტრატეგია სტუდენტებს უბიძგებს, ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენისათვის გააქტიურდნენ. ამ ტიპის სწავლება სტიმულს აძლევს სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ სააუდიტორიო მუშაობაში. პრაქტიკული საგნების სასწავლო მასალა კი, რომელიც, უმეტესწილად, ემპირიულ ბაზაზეა დაფუძნებული, სტუდენტებს შორის

დისკუსიებისა და დებატების უზარმაზარ შესაძლებლობას იძლევა და მეცადინეობა სემინარებს ემსგავსება.

სწავლების პროცესში გამოიყენება მეთოდები:

ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობისას:

ვერბალური მეთოდი; დისკუსიის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული:

პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის იმ ადრეული ცოდნის თუ გამოცდილების გამოვლენას, რომელიც ცალკეული საგნების მიზნებს უკავშირდება და თეორიული კონცეფციების გაგება-გააზრებას უზრუნველყოფს.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე ხდება:

ა) ლექტორის მიერ შეთავაზებულ პრობლემაზე ინფორმაციის მოპოვება, გადამუშავება, გავრცელება; სწრაფად წერის ტრენინგი აუდიტორიაში;

ბ) პრობლემის გააზრება და საშინაო წერითი დავალების შესრულება (ქანრებისა და ფორმების გამოყენებით), რომლის გუნდურად განხილვა-შეფასება აუდიტორიაში მოხდება;

გ) სიტუაციური სავარჯიშოები: ჟურნალისტური ტიპური პროფესიული პრობლემების მოდელირება და მათი გადაჭრის გზათა ძიება, შედეგების ანალიზი და შეფასება აუდიტორიაში.

ჩამოთვლილი მეთოდების რეალიზაციის საშუალებებია: დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სოციოლოგიური გამოკითხვის სხვადასხვა ფორმა (კონტენტ-ანალიზი, ინტერვიუ); მოდელირებული სიტუაციური სავარჯიშოების გუნდური განხილვა; ინდუქცია-დედუქცია.

ჯგუფური (**collaborative**) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (**PBL**), თანამშრომლობითი სწავლება (**cooperative**), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება.

კონკრეტული **მაგალითების ანალიზი**, ე. წ. **Case Study** პრაქტიკული სწავლების ერთ-ერთ გამორჩეულად საინტერესო კომპონენტადაა მიჩნეული. სტუდენტები განიხილავენ სიტუაციებს, როდესაც ჟურნალისტს ან რედაქციას, მაგალითად, რთული ეთიკური არჩევანის გაკეთება უწევს. კონკრეტულ შემთხვევებთან მუშაობა საშუალებას გვაძლევს, დეტალურად განვიხილოთ სიტუაცია, უფრო ზუსტად გამოვკვეთოთ სხვადასხვა აზრი, გავაანალიზოთ ჟურნალისტის მოქმედების ვარიანტები, შევავსოთ მისი გადაწყვეტილების შედეგები.

ჟურნალისტიკის შესწავლისას პროდუქტიულ შედეგს იძლევა **პუბლიკაციებისა და პრობლემური თემების განხილვა**, რასაც ჩვენი ლექტორები პრაქტიკაში ხშირად იყენებენ კიდევ.

ჟურნალისტიკის შემსწავლელთათვის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს **მოწვეულ ექსპერტთა ლექციების** ორგანიზება. ახალი მასალის ასახსნელად ან პრობლემათა განსახილველად სპეციალისტების მოწვევა დადებითად მოქმედებს კურსის რეიტინგზე (ავტორიტეტული პირები არამხოლოდ ესაუბრებიან სტუდენტებს, არამედ თავადაც ისმენენ და აფასებენ ახალგაზრდების შეხედულებებს), რაც საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ სასწავლო კურსების მონოტონურობა.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

სწავლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს ჟურნალისტის პროფესიისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს:

- აქვს ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების (სიზუსტის, საიმედოობის, ხელმისაწვდომობის, ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნის, მოვლენათა სხვადასხვა რაკურსით წარმოდგენისა და ფაქტების დამახინჯების შესაძლო ნეგატიური შედეგების დადგენის) უნარი;

- შეუძლია სხვადასხვა ხასიათის (საინფორმაციო, ანალიტიკური, შემეცნებითი, გასართობი და სხვ.) მედიაპროდუქტის მოსამზადებლად სანდო წყაროს გამოყენება როგორც ბეჭდური, ისე სამაუწყებლო და ციფრული მედიისთვის;
- შეუძლია: მედიამულტიპლატფორმებისთვის მედიური ნაწარმოების შექმნა; გადაღება და აუდიო ჩაწერების გაკეთება; მარტივი აუდიო და ვიდეომონტაჟი; ბლოგპლატფორმების, სოციალური ქსელების და სხვა თავისუფალი რესურსების გამოყენება; ვებ-გვერდების ადმინისტრირება (ატვირთვა/ჩამოტვირთვა, გამოქვეყნება, თეგებისა და კატეგორიების განსაზღვრა და ა.შ.);
- აქვს პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციათა მუდმივად განახლება-განვითარების უნარი;

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- გადატვირთული ინფორმაციული ველის პირობებში დამოუკიდებლად პროფესიული ორიენტირება;
- პროფესიული ეთიკის, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპებით მედიაპროდუქტის დამოუკიდებლად შექმნა;
- კონცეფციის შემუშავების, თეზისის დასაბუთებისათვის აუცილებელ არგუმენტთა ავტონომიურად მოპოვება და გამოყენება.

დასაქმების სფერო

ზემოაღნიშნული კომპეტენციებით აღჭურვილ **ჟურნალისტიკის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე** კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება პრაქტიკული საქმიანობა გააგრძელოს ნებისმიერ პოზიციაზე, სადაც მოითხოვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მათ შორის: მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურსა (გაზეთი, ჟურნალი) და სამაუწყებლო საშუალებებში (რადიო, ტელევიზია), ინტერნეტ-გამოცემებში, საინფორმაციო სააგენტოებში, სახელმწიფო თუ ბიზნესორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პრესსამსახურში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

ვიწრო სფერო

სოციალური და ქცევითი მეცნიერებები

დეტალური სფერო

პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები

სწავლის სფერო

საერთაშორისო ურთიერთობები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი

Bachelor of International Relations

პროგრამის ხელმძღვანელი

ალიკა გუჩუა, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი 240 კრედიტიდან:

სავალდებულო კომპონენტები: 172 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი;
- საფაკულტეტო (სოციალური მეცნიერებების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 15 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (საერთაშორისო ურთიერთობები) სავალდებულო სასწავლო კურსები – 135 კრედიტი;

არჩევითი კომპონენტები: 68 კრედიტი, მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (სოციალური მეცნიერებების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;
- სპეციალობის (საერთაშორისო ურთიერთობები) არჩევითი სასწავლო კურსები – 25 კრედიტი;

თავისუფალი კომპონენტები - 25 კრედიტი

პროგრამის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლების პარალელურად სტუდენტი ვალდებულია 3 სემესტრის განმავლობაში, 15 კრედიტის მოცულობით შეისწავლოს მეორე უცხო ენაც, თავისი სურვილის მიხედვით. ეს ენებია: გერმანული, ფრანგული, რუსული, ან სპარსული. გარდა ამ ენებში ლექსიკა, გრამატიკის სწავლებისა (V-VI სემესტრში), VII სემესტრში გათვალისწინებულია გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, ან სპარსულ ენებზე, საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი ტერმინოლოგიის სწავლება.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას უზრუნველყოფს.

სწავლების პროცესში გამოიყენება მეთოდები:

ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობისას:

ვერბალური; წერითი; წიგნზე მუშაობის; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების;

პრაქტიკული სწავლების მეთოდი;

სიტუაციური სავარჯიშოები – ტიპური პროფესიული პრობლემების მოდელირება და მათი გადაჭრის გზათა ძიება, შედეგთა ანალიზი და შეფასება აუდიტორიაში.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);

თანამშრომლობითი სწავლება (cooperative); შემთხვევის ანალიზი (Case study);

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების პროფესიისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს:

- **აქვს** პოლიტიკის სფეროში და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პროცესების სწორი აღქმის, კრიტიკული აზროვნების, კონკრეტული სიტუაციისათვის საჭირო ჩვევების იდენტიფიცირებისა და გამოყენების უნარი;
- **შეუძლია** საერთაშორისო ურთიერთობებსა და საგარეო პოლიტიკის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე საინფორმაციო და ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება, განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- **შეუძლია** საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ხელმძღვანელის მხრიდან მიღებული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება;
- **გააჩნია უნარი** დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, პრობლემის დანახვის, ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების, პრობლემის გადაჭრის გზის დასახვისა და არგუმენტირებულად მსჯელობის უნარი;
- კურსდამთავრებულს **გამომუშავებული აქვს** იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, შესაბამისი გადაწყვეტილებების ავტონომიურად შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს დიპლომატიასა და პოლიტიკის სფეროში; იგი აცნობიერებს ეთიკური და კულტურული ნორმების როლს და გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა;
- კურსდამთავრებული **პატივს სცემს** მრავალფეროვნებას, **შეუძლია** პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებაში და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, გააჩნია თანამშრომელთა და ზოგადად, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა; არის კომუნიკაბელური და მონაწილეობს გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში;
- აქვს აქტებისა და მოვლენებისადმი შემფასებლური დამოკიდებულების გამომუშავებისა და საკუთარი ავტონომიური ხედვის კვალიფიციურად, დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი;
- იგი **პატივს სცემს** თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრებულ დემოკრატიულ ღირებულებებს და იღებს პასუხისმგებლობას იმოქმედოს მათ შესაბამისად.

დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობების კვალიფიკაციით საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ საკმარისი კვალიფიკაცია იმისათვის, რომ იმუშაონ საჯარო სამსახურში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და მას-მედიის საშუალებებში, დაწესებულებებში, რომელთაც შეხება აქვთ საგარეო პოლიტიკის წარმოებასა და შემუშავებასთან.

საბაკალავრო პროგრამის გავლისა და ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჩართულ შესაბამის სახელმწიფო (მაგალითად საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, თავდაცვის სამინისტრო და ა.შ.) და არასახელმწიფო (არასამთავრობო ორგანიზაციები, მას-მედია) სტრუქტურებში.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა

ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები

ვიწრო სფერო

ენები

დეტალური სფერო

ენის დაუფლება

სწავლის სფერო

ინგლისური ფილოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინგლისური

ფილოლოგიის

ბაკალავრი

Bachelor of English Philology

პროგრამის

ხელმძღვანელი

ნანა პარინოსი, ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა – 240 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები: 180 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 12 კრედიტი
- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 9 კრედიტი
- სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 159 კრედიტი

არჩევითი კომპონენტები: 60 კრედიტი, მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 8 კრედიტი;
- სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები – 27 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტები: 15 კრედიტი.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც სტანდარტული მეთოდები, ასევე არასტანდარტული, სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც დარგის შესწავლის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- მხატვრულ ტექსტზე მუშაობის მეთოდი;
- ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილური მუშაობის მეთოდი;
- გონებრივი იერიში;
- აუდიო-ლინგვალური მეთოდი;

- პრაქტიკული ამოცანა-დავალებები;
- როლური თამაშები;
- ჯგუფში დისკუსია/დებატები;
- დემონსტრირების მეთოდი (ვიზუალური მასალის გამოყენებით);
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- გონებრივი იერიში;
- ინდუქციის მეთოდი;
- დედუქციის მეთოდი;
- ანალიზის მეთოდი;
- სინთეზის მეთოდი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
- სემინარის და სასწავლო მასალის ზეპირი პრეზენტაციის მეთოდი;
- როლური ან სიტუაციური თამაშები;
- წერითი მუშაობის მეთოდი (ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის მომზადება და პრეზენტაციის წარდგენა);
- შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი;
- შებრუნებული გაკვეთილი;
- მოწვეული მომხსენებელი;
- ვირტუალური სასწავლო გარემოს გამოყენება;
- ტექსტების, დოკუმენტებისა და სხვა მასალის კომენტირება;
- ინფორმაციის მოძიება, შერჩევისა და შეფასების მეთოდი;
- ესსე წერა;
- შემოქმედებითი წერა;
- ტესტირება;
- თანამშრომლობითი მეთოდი;
- საუბარი/მონოლოგი;
- ელექტრონული რესურსით სწავლება;
- პრეზენტაცია (Canva);
- პრეზენტაცია (Power Point);
- ინტერკულტურული მიდგომა (Intercultural Method);
- კრიტიკული აზროვნება;
- პროექტის შემუშავების მეთოდი;
- სამუშაოს კრიტიკულად შეფასების მეთოდი;
- მაგალითების შესწავლის მეთოდი;
- ფილმზე მუშაობის მეთოდი;
- სკეჩ- მეთოდი (offline, ვიდეო -სკეჩი);
- პროგნოზის მეთოდი;
- აქამდე არსებული ცოდნის გააქტიურების მეთოდი;
- კომუნიკაციური პერფორმაცია;
- ზეპირსიტყვიერი თარგმანის მეთოდი;
- მოზაიკის მეთოდი;
- პოდკასტური სწავლების მეთოდი;
- ჟესტიკულაციური და მიმიკური პერფორმაცია;
- ხმამაღალი კითხვისა და წარმოთქმის მეთოდი;

- მინი „საგა“ მეთოდი;
- მონოლოგური და დიალოგური მეტყველება.

მოსალოდნელის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ამყარებს კომუნიკაციას ფართო სპექტრის პრობლემატიკასა და თემატიკაზე, უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი დონით (CEFR)B2+ დონეზე;
- აანალიზებს სხვადასხვა ჟანრის ტექსტს სათანადო ლინგვისტური ტერმინოლოგიის (შერეული, შედგენილი, დერივაციული სიტყვების) გამოყენებით; ახორციელებს ტექსტის ინტერპრეტაციასა და თარგმანს შესაბამის სტილსა და რეგისტრში;
- აანალიზებს და იყენებს მეტყველების ნაწილებს / წინადადებებს მათი მორფოლოგიურ - სინტაქსური მახასიათებლებისა და ფუნქციური თავისებურებების გათვალისწინებით, სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ენაზე სრულფასოვან კომუნიკაციას როგორც ზეპირი, ასევე წერიტი მეტყველებისას;
- მიმოიხილავს ინგლისური ლიტერატურის მთავარ წარმომადგენლებსა და მხატვრულ ტექსტებს; ინგლისური ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ტენდენციებს;
- გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტს (ახდენს საკვლევის თემის იდენტიფიცირებას, იყენებს საბაკალავრო პროექტის შესრულებისათვის საჭირო ტექნიკებს).
- აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე;
- ავლენს სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს, მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს.

დასაქმების სფერო

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებში;
 ადგილობრივ და საერთაშორისო ასოციაციებში/კავშირებში/ საზოგადოებებში;
 სამეცნიერო, კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრებში;
 სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;
 სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო შეზღუდვების გათვალისწინებით);
 საბიბლიოთეკო ქსელში (ეროვნული, სამეცნიერო, სასწავლო, მასობრივი (საჯარო), საბავშვო, სასკოლო ბიბლიოთეკები და სხვა);
 რედაქციებსა და გამომცემლობებში;
 სახელმწიფო/კერძო რადიო და სატელევიზიო არხებსა და მედია ცენტრებში;
 საინფორმაციო და ტურისტულ სააგენტოებში;
 ტურიზმის სფეროში.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

ვიწრო სფერო

ჯანდაცვა

დეტალური სფერო

ფარმაცია

სწავლის სფერო

ფარმაცია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ფარმაციის ბაკალავრი

Bachelor of Pharmacy

პროგრამის ხელმძღვანელი

გიორგი ჩუბინიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი ფარმაციის სპეციალობით.

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი 240 კრედიტიდან:

სავალდებულო კომპონენტები 187 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22/27 კრედიტი;
- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 12 კრედიტი;
- სწავლის სფეროს საბაზისო სასწავლო კურსები – 37 კრედიტი;
- სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 116 კრედიტი;

არჩევითი კომპონენტები-53 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 3 კრედიტი;
- სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები – 20 კრედიტი;

თავისუფალი კრედიტები-20 კრედიტი.

სწავლების მეთოდოლოგია

სასწავლო დისციპლინების ოპტიმალური ათვისებისათვის სწავლების ტრადიციულ მეთოდებთან ერთად ფართოდ გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს, ზრდიან სტუდენტების ჩართულობას სასწავლო პროცესში და ამცირებენ დისციპლინარულ პრობლემებს.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლა ეფუძნება თეორიული და პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობების უწყვეტ ციკლს.

ლექციებზე ძირითადად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- სემინარის და სასწავლო მასალის ზეპირი პრეზენტაცია Power Point-ით;
- ჯგუფში დისკუსია/დებატები;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- თანამშრომლობითი მეთოდი;
- ბრენსტორმინგი;

- დემონსტრირების მეთოდი;
- ინოვაციური ინფორმაციის/მასალის მოძიების მეთოდი;

პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების შემდეგი მეთოდები:

ჯგუფში დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი;

- გუნდური მუშაობა;
- სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია;

სწავლების მეშვიდე – მერვე სემესტრებში სტუდენტები პრაქტიკას გადიან სააფთიაქო და საქარხნო ტექნოლოგიებში.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხისა და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა სასაქონლო ექსპერტიზის, ქიმიური, ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზის მეშვეობით;
- ტექნოლოგიური პროცესების მართვა, მატერიალური ბალანსის განსაზღვრა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა და პროდუქციის სერიულ-ლი წარმოება;
- რეცეპტის შესაბამისად სამკურნალო საშუალებების ექსტემპორალური დამზადება და ხარისხის განსაზღვრა;
- პრეპარატის გამოყენების ინსტრუქციის ინფორმატიულობის, კლინიკური
- კვლევებით დადასტურებული და რეკლამირებული ჩვენებების ურთიერთ შესაბამისობის დადგენა;
- ფარმაცევტული პროდუქციის ფასწარმოქმნის მექანიზმების, მედიკამენტების ფასებისა და მოხმარების ზრდის მიზეზების, გამოყენების სოციალური და ეკონომიურ ასპექტების ანალიზი;
- პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ცოდნის შემენაზე, კომუნიკაციური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის სამკურნალო მცენარეული ნედ-ლეულის, ხარისხის დამოუკიდებლად განსაზღვრა ანალიზის ფიზიკო-ქიმიურ-ი და ფარმაკოგნოსტიკური მეთოდების გამოყენებით და შედეგების მართებულობაზე პასუხისმგებლობის აღება;
- ფარმაცევტული პროდუქციის ბაზარზე დაშვების პროცედურაში კონკრეტული საქმიანობის განხორციელება დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით;
- ექსტრემალურ პირობებში პირველადი ექიმადელი დახმარების აღმოჩენა და საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება;
- კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და პასუხისმგებლობის აღება;
- პროფესიულ გარემოში საქმიანობა ღირებულებებისა და ეთიკური ნორმების დაცვით.

დასაქმების სფერო

პროგრამის დასრულების შემდეგ, სწავლის პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებული ზოგადი კომპეტენციებისა და კონკრეტული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, **ფარმაციის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს:**

- სააფთიაქო ქსელის ნებისმიერი ტიპის ფარმაცევტულ დაწესებულებაში (საცალო, საბითუმო, კლინიკის, ფარმაცევტული ბაზა);

- ფარმაცევტულ საწარმოში;
- წამლის ხარისხის კონტროლისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ანალიზურ ლაბორატორიებში;
- ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების საჯარო სამსახურში;
- სპეციალიზებულ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;
- ადგილობრივ და უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიებში;
- შეუძლია შექმნას და მართოს საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესი.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა

ფართო სფერო

სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია

ვიწრო სფერო

სოფლის მეურნეობა

დეტალური სფერო

ინტერდისციპლინური

სწავლის სფერო

მევენახეობა და მეღვინეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

Bachelor of Agricultural Sciences

პროგრამის ხელმძღვანელი

ოლან გოცირიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

პროგრამის თანახელმძღვანელი

დავით მაღრაძე, აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, მოწვეული ლექტორი.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი 240 კრედიტიდან

სავალდებულო კომპონენტები, 180 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი;
- საფაკულტეტო (საბაზისო) სასწავლო კურსები – 45 კრედიტი;
- სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 113 კრედიტი;

არჩევითი კომპონენტები: 60 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;

- სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები – 30 კრედიტი;
თავისუფალი კრედიტები - 20 კრედიტი.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები:

ვერბალური; წერითი; დუალური - სინთეზური, პრაქტიკაზე დაყრდნობილი თეორიული ცოდნის მიღების მეთოდი;

ისე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება, მაგალითად:

ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერის გაკეთება;

ჯგუფში მუშაობისას - ვერბალური (შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და დისკუსიები/დებატები, პრეზენტაციის/მოხსენების წარდგენა);

წერითი (დავალების/პრეზენტაციის მომზადება);

პრაქტიკული სწავლების მეთოდი, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული: პრაქტიკული სწავლების მეთოდები, დისკუსია-დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი სწავლება (cooperative), შემთხვევის ანალიზი (Case study), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება, სტუდენტთა მოტივაცია, სტუდენტთა მიერ ცოდნა-მომზადების ურთიერთშემოწმება (მეთოდიკა "პედაგოგიური როლები სტუდენტებისათვის" და მეთოდიკა "ინტერვიუ წყვილებში").

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს პრაქტიკა 24 კრედიტის მოცულობით. აქედან- 12 კრედიტის მოცულობით- მევენახეობის აგროტექნოლოგიასა და ვაზის სარგავი მასალების წარმოებაში ხოლო 12 კრედიტის მოცულობით - ღვინის ტექნოლოგიაში.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- ახალი სავენახე ნაკვეთების, ე.წ. "ტერუარების", ნიადაგების, ვაზის ჯიშთა შეფასებისა და შერჩევის, ვენახის გაშენებისა და დიზაინის, აგროტექნოლოგიური ღონისძიებების დაგეგმვის, ვენახის ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების შემუშავების უნარი;
- ყურძნის გადამუშავების, ღვინის ფორმირების, დამუშავების და დავარგების დროს მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური, ბიოქიმიური გარდაქმნების კონტროლის და მართვის უნარი;
- პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელი ძირითადი და დამხმარე მასალების შერჩევისა და შეფასების, ნედლეულის აღრიცხვის, ტექნოლოგიური გაანგარიშებების, ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოების უნარი.

შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ავტონომიურად განახორციელოს:

- ვენახის გაშენების, ვაზის ფორმირების, მწვანე ოპერაციების, ნიადაგის განაყოფიერების, ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებები;
- საწარმოში გამოყენებული აპარატურა-დანადგარების და მოწყობილობების ექსპლუატაცია;

- ვინიფიკაციის პროცესის კონტროლი და მართვა.

სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ინტერნაციონალიზაციის მიზნით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს ასევე გაფორმებული:

- ERASMUS + ლუბლიანას უნივერსიტეტი (PIC number 999923240 University of Ljubljana)
- ბურგოსის უნივერსიტეტთან (UNIVERSIDAD RE BURGOPS, ESPANA);
- ლა რიოჰას უნივერსიტეტთან (THE UNIVERSITY OF LA RIOJA, SPAIN);
- ალკალას უნივერსიტეტთან (THE UNIVERSIYY OF ALCALA DE HENARES, MADRID, SPAIN)

რითაც სტუდენტებს ახალი შესაძლებლობები ეძლევათ სწავლისა და კვლევების ევროპული გამოცდილების გაზიარებისა და გაღრმავებისათვის.

დასაქმების სფერო

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა მიღებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაბამისად უნდა შეძლოს დასაქმება მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სხვადასხვა პროფილის დაწესებულებებში, როგორებიცაა:

- ვაზის სანერგე მეურნეობები;
- მევენახეობის მეურნეობები;
- აგროგანვითარების სფეროს საკონსულტაციო ცენტრები;
- საკოლექციო ნაკვეთების გაშენება-პროექტირების ბიუროები;
- აგროეკოლოგიური, ვაზის დაცვის სამსახურები;
- სხვადასხვა მასშტაბის მარნები და საოჯახო მეურნეობები;
- ღვინის, ბრენდის, ჭაჭის და სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ქარხნები და კომპანიები;
- ღვინის სახლები, დაკავებული კომერციული საქმიანობით და სომელიეს მომსახურებით;
- ღვინის ტურიზმით დაკავებული კომპანიები;
- ყურძნისა და ალკოჰოლური სასმელების ხარისხის კონტროლის აკრედიტებული ლაბორატორიები;
- დარგის მართვის სახელმწიფო და საჯარო უწყებები.

აკრედიტებული
ერთსაფეხურიანი
საგანმანათლებლო
პროგრამები



მედიცინის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა –360 კრედიტიანი;
სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა – 300
კრედიტიანი.

მედიცინის ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის
ხანგრძლივობა 6 წელია, 12 სემესტრი; სწავლების ენა – ქართული.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე –5 წელი, 10
სემესტრი; სწავლების ენა – ქართული.

**მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო
პროგრამებზე დაშვების წინაპირობა**

მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის
უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს,
ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა
აბიტურიენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე:

ჩაბარებული ჰქონდეს ინგლისური ენა, მინიმუმ 41 ქულით (B1 დონე);

ქიმიასა და ბიოლოგიაში მიღებული ჰქონდეს 35+1 ქულა;

თუ მობილობით პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ეროვნული გამოცდა არა აქვს ჩაბარებული
ინგლისურში, შესაძლებლობა ეძლევა დაადასტუროს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე
ცოდნა (წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან
ჩააბაროს გამოცდა უნივერსიტეტის ენების ცენტრში).

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა
დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი
„უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

მედიცინისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით
ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური სემესტრის შემდეგ, მობილობა
შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო
პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის
აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს
განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების
/თანხმობის საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვალდებულია დაადასტუროს ქართული და ინგლისური ენების ცოდნა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც აბიტურიენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. <http://www.ciu.edu.ge>.

სწავლის პერიოდი და მოცულობა

ერთი აკადემიური წელი გრძელდება **38 კვირა**;

I სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა**;

II სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა**.

აქედან:

ა) **1-16 კვირა** სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია-სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, პრაქტიკული მეცადინეობები კლინიკაში, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება და დაცვა.

ბ) **მე-17 – მე-18 კვირა** დასკვნითი გამოცდების პერიოდია;

დ) **მე-19 კვირა-ს** ტარდება განმეორებითი გამოცდები;

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ცოდნის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

სასწავლო კურსები: სასწავლო კურსის შესწავლისას, სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

შუალედური შეფასების ელემენტი იყოფა კომპონენტებად (მუშაობა ლექციებზე და სამუშაო ჯგუფებში, როგორც საბაზისო, ასევე კლინიკური სწავლებისას, მუშაობა პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე, შუალედური გამოცდები, წინასწარ შერჩეული თემის მომზადება და მისი პრეზენტაცია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, რეფერატის მომზადება და დაცვა და ა.შ.), რომელთაც თავისი პროცენტული წილი აქვთ შესაბამისი ელემენტის ფარგლებში. შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და **ფასდება 20 ქულით**.

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტის კომპონენტების ზუსტი განსაზღვრა. კომპონენტების შინაარსს და ხვედრით წონას განსაზღვრავს კურსის წამყვანი ლექტორი.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებით უნდა დააგროვოს მინიმუმ 25 ქულა.

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მისი ხვედრითი წილი შეფასების სისტემაში შეადგენს 40 ქულას.

დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 ქულის მოპოვების შემთხვევაში.

სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი მიენიჭება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების ჯამით დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი განსაზღვრულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების სისტემის და მისი კომპონენტების შესახებ.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობა) – მაქსიმალური 30–40 ქულა;
2. წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის მომზადება და დაცვა – მაქსიმალური 10 ქულა;
3. შუალედური გამოცდა – მაქსიმალური 20 ქულა;
4. დასკვნითი გამოცდა – მაქსიმალური 40 ქულა;
5. საბოლოო შეფასება – მაქსიმალური 100 ქულა.

მოდულის შეფასება:

მოდულში შემავალ თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტი იღებს შუალედურ შეფასებას, რომლის კონპონენტები განსხვავდება სხვადასხვა კურსისთვის და ისინი დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში.

სტუდენტმა უნდა მოაგროვოს მინიმუმ 25 ქულა 60 -დან თითოეულ კურსში, რომ იგი დაშვებული იქნას მოდულის ინტეგრირებულ დასკვნით გამოცდაზე.

თუ სტუდენტმა დააგროვა 25 ქულაზე ნაკლები რომელიმე სასწავლო კურსში, იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება, ამ შემთხვევაში მან განმეორებით უნდა გაიაროს მხოლოდ ეს სასწავლო კურსი.

მოდულის ინტეგრირებული შუალედური შეფასება გამოითვლება სასწავლო კურსის კრედიტის პროპორციის მიხედვით მოდულის საერთო კრედიტთან.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40 ქულა	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

მაქსიმალური დადებითი შეფასება - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;

სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში. 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.

განსაკუთრებით აღნიშნავს საჭიროებს პროგრამის ერთ-ერთი შედეგი-პროფესიონალიზმი.

პროფესიონალიზმი ერთ - ერთი ძირითადი კომპეტენციაა მედიცინის პროგრამის სტუდენტებისთვის. საუკეთესო პრაქტიკა, თუ როგორ ვასწავლოთ პროფესიონალიზმი, სამედიცინო განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. პროფესიონალიზმის ელემენტების შეძენას სტუდენტი იწყებს სწავლების პირველივე წლიდან, ეს პროცესი გრძელდება მეექვსე კურსის ჩათვლით.

პროფესიონალიზმი ფასდება სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, გამოიყენება განსხვავებული კითხვარები, OSCE, 360 გრადუსიანი შეფასება, ე.წ. „განსაკუთრებული შემთხვევის“ შესახებ რეპორტი, პორტფოლიო.

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე - **საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). Fx და F შეფასება GPA – გამოთვლაში განიხილება 0-ის ტოლად.

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობა

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა:

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მიერ 360 ECTS კრედიტის ხოლო სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მიერ 300 ECTS კრედიტის დაგროვება.

კვალიფიკაციის / ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

GPA 3.5 და მეტი – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები- ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დიპლომირებული მედიკოსის / დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მოიპოვოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

მედიცინის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

ვიწრო სფერო

ჯანდაცვა

დეტალური სფერო

მედიცინა

სწავლის სფერო

მედიცინა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

დიპლომირებული მედიკოსი

Medical Doctor (MD)

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის ხელმძღვანელები

სოფიო კასრამე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;

ზაზა ხაჭიპერაძე, MD, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტი

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა 360 კრედიტანია,

პროგრამის სტრუქტურა ასეთია:

სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები - 337 კრედიტი, მათ შორის:

- სამეცნიერო კვლევის უნარების სავალდებულო სასწავლო კურსები - 11 კრედიტი;
- კლინიკური უნარ-ჩვევების სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის მოდულში) - 17 კრედიტი;

გარდა ამისა:

- სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 13 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 5 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი.

სწავლების მეთოდოლოგია

საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობათა ინტეგრირება. თეორიულ მეცადინეობათა დანიშნულებაა – სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი თემების თეორიულ ჭრილში განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა სავალდებულო ლიტერატურითა და ინფორმაციით შესასწავლი დისციპლინის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ.

პრაქტიკულ მეცადინეობათა დანიშნულებაა –სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გადრმავება-განმტკიცება; შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისიგამოყენების შესაძლებლობათა გამოკვეთა; საგნობრივ სფეროში გადაწყვეტილებათა მომზადება-მიღების პროცესებზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზისა დაობიექტურად შეფასების, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებას.

ლექციებზე ძირითადად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ბრენსტორმინგი;
- დემონსტრირების მეთოდი;

პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების შემდეგი მეთოდები:

- შემთხვევის ანალიზი, ან კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლების მეთოდი, რომელიც აღწერს კონკრეტულ სიტუაციებს, კლინიკურ შემთხვევებს, პრობლემებს, საჭიროებს განსჯას და ხელს უწყობს სტუდენტებში ლოგიკური აზროვნების განვითარებას;
- ჯგუფში დისკუსია/დებატები - პრაქტიკული მეცადინეობების დროს სტუდენტების კამათში გამოწვევა, საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- გუნდური მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - ეს მეთოდი სასწავლო პროცესს აკავშირებს გადაწყვეტილებების მიღების და პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავებასთან, რაც ესოდენ საჭიროა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მედიცინაში. ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში სტუდენტები განიხილავენ კლინიკურ შემთხვევებს, აყალიბებენ შესაძლებელ პრობლემებს, მსჯელობენ სავარაუდო დიაგნოზზე, დიაგნოსტიკურ მეთოდებზე, სწავლობენ მკურნალობის გეგმას, ისმენენ სხვათა მოსაზრებებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად სტუდენტებს უჩნდებათ მოტივაცია უფრო ღრმად ჩასწვდნენ პრობლემის არსს,მოიძიონ და შეისწავლონ სხვადასხვა ლიტერატურა დამოუკიდებლად იმისათვის, რომ მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება და დაიცვან ასეთი გადაწყვეტილება, დააკავშირონ საბაზისო საგნების თეორიული ცოდნა კლინიკურ

საგნებთან, განივითარონ გუნდური მუშაობის უნარები, რაც არსებითია კლინიკური პრაქტიკისთვის.

- **ინოვაციური ინფორმაციის/მასალის მოძიების მეთოდი;**
- **სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობა.**

სწავლა, სწავლება და სწავლების ფორმები

სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება ვირტუალური სიმულაციის ცენტრში და კლინიკურ გარემოში (როგორც უმცროს კურსელებისთვის, ასევე უფროს კურსელთათვის). სწავლებისას უპირატესობა ენიჭება ახალ ტექნოლოგიებს.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ სწავლის პროცესში გამოიმუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება დამოუკიდებლად, სიმულატორებზე, ან ზედამხედველობის ქვეშ პაციენტთან.

კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო განათლებაში. ამ თვალსაზრისით, სწავლებისას გამოიყენება ისეთი სიმულატორები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ რეალურ დაავადებას, დიაგნოსტიკურ ან სამკურნალო პროცედურას.

სწავლების აუცილებელი მოთხოვნაა სტუდენტისათვის კვლევითი უნარების გამოიმუშავება. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს. სტუდენტები ესწრებიან და მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში.

ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე ტესტური გამოცდები, **ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE), ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE),** სტანდარტიზებული პაციენტის და/ან სიმულატორების გამოყენებით, პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი.

სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები და ფორმები:

- ინტერაქტიური ლექციები, სემინარები;
- შუალედური გამოცდები;
- ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside teaching);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL)
- ტრენინგისიმულატორებსა და მულაჟებზე;
- პაციენტისა და ექიმის როლური თამაში;
- ლაბორატორიული სწავლება;
- პრეზენტაციები;

- როტაციები კლინიკურ ბაზებში.

შედეგზე ორიენტირებული სწავლების აუცილებელი მოთხოვნაა სტუდენტის ადრეული ჩართვა სამეცნიერო მუშაობაში. კურიკულუმში სტუდენტის კვლევაში მონაწილეობას განსაზღვრული საათები ეთმობა. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს. სტუდენტები ესწრებიან და მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია:

კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება;

აქვს მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი; მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს; შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა; სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა;

- ანამნეზის შეკრება;
- ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება;
- კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება;
- განმარტებებისა და რჩევების მიცემა;
- პაციენტის გამხმნევა და მისი უფლებების დაცვა;
- პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება;

2. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული

დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა:

- კლინიკური შემთხვევის სირთულის გაცნობიერება და შეფასება;
- შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია;
- დიფერენციული დიაგნოზის გატარება;
- პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა;
- ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა;
- ქრონიკული დაავადების მართვა.

3. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი

დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები):

- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება;
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა;
- ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა;
- გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლისშემანარჩუნებელი და
- კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება;
- ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო
- ღონისძიებების ჩატარება ჩვილებში, ბავშვებსა და მოხუცებში ასაკის გათვალისწინებით;
- გაიდლაინების შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი
- ღონისძიებების ჩატარება;
- ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად.

4. მედიკამენტების გამოწერა:

- მედიკამენტების გასაგებად და ასაკის შესაბამისად გამოწერა;
- შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან
- დაკავშირება;
- მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და
- პაციენტისთვის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება;
- ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა;
- მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას.

5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება:

- სიცოცხლის ნიშნების გასინჯვა; სხეულის ტემპერატურის, პულსის, სუნთქვისა, წნევის შემოწმება;
- ჟანგბადით გაჯერების გაზომვა;
- ხელების დაბანა და ხელთათმანების გამოყენება;
- ვენეპუნქცია;
- ვენაში კათეტერის ჩადგმა;
- სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება;
- ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში;
- ჟანგბადის მიწოდება;
- პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა;
- ნაკერის დადება;
- ჭრილობის დამუშავება და გადახვევა;
- სისხლის ტრანსფუზია;
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
- შარდის ანალიზის გაკეთება;
- ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია;
- სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება;

- ჩასასუნთქი მედიკამენტების სათანადო გამოყენება.

6. ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში:

- კონფიდენციალურობის შენარჩუნება;
- ეთიკური პრინციპების და ანალიზის გამოყენება საექიმო საქმიანობისას;
- ინფორმირებული დასტურის მოპოვება და რეგისტრაცია;
- სიკვდილის დადასტურება;
- გვამის გაკვეთის მოთხოვნა (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში);
- მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვა;
- სამედიცინო პრაქტიკის განხორციელება მულტიკულტურულ საზოგადოებაში.

7. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია:

- პაციენტთან კომუნიკაცია;
- კოლეგებთან კომუნიკაცია;
- კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას;
- ნათესავებთან კომუნიკაცია;
- უნარშეზღუდულ პირებთან კომუნიკაცია;
- კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად;
- წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით);
- კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია;
- კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით;
- კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან;
- ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური,
- კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.

8. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური

ასპექტების შეფასება:

- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება;
- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება;
- დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა;
- ალკოჰოლსა და წამალზე დამოკიდებულების დადგენა.

9. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება:

- მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში;
- შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება;
- გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

10. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების

ეფექტურად გამოყენება:

- კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა;
- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- სპეციფიური საინფორმაციო რესურსების მოძიება;
- ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება;
- პირადი ჩანაწერების შენახვა (პორტფოლიო).

11. სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა დაცოდნის გამოყენება:

- სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა;
- კვლევის დიზაინი, დეტალური დაგეგმვა, მიღებული შედეგების დამუშავება და დასკვნების გაკეთება;
- პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევათა გამოყენების უნარი;
- ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე
- რეფერატის/მიმოხილვის დაწერის უნარი;
- სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნა.

12. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა:

- მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი;
- ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების გატარება;
- საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება;
- ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.

13. პროფესიონალიზმი

კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი თვისებები:

- პატიოსნება, კეთილსინდისიერება, ეთიკური პასუხისმგებლობა;
- საქმიანობის კეთილსინდისიერად წარმოების ვალდებულება და ხარისხზე ზრუნვა;
- კრიტიკული და თვით-კრიტიკული შესაძლებლობები, ანალიტიკური პრაქტიკა;
- ემპათია;
- შემოქმედებითობა;
- ინიციატივა, წარმატებისკენ სწრაფვა;
- ადამიანებთან ურთიერთობის უნარი.

პროფესიონალური მუშაობა:

- საკუთარი შესაძლებლობების ფარგლების აღიარება და დახმარებისთვის მიმართვა;
- გაურკვეველ სიტუაციასთან გამკლავების და ახალ სიტუაციასთან შეგუების უნარი;

- ლიდერობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- პრობლემების გადაჭრის უნარი;
- გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი;
- სხვა დისციპლინის სპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი;
- ორგანიზების და დაგეგმვის უნარი (მათ შორის დროის მართვა);
- ექიმი, როგორც ექსპერტი;
- ანალიზის და სინთეზის უნარი;
- სწავლის უნარი (მათ შორის უწყვეტი, დამოუკიდებელი სწავლა);
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- სწავლების უნარი;
- კვლევის უნარი.

ექიმი ყველასთვის:

- განსხვავებულობის და მულტიკულტურულობის დაფასება;
- სხვა ქვეყნების კულტურის და ტრადიციების გაცნობიერება;
- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი;
- მეორე ენის ცოდნა;
- ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო

უმაღლესი სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულს (დიპლომირებულ მედიკოსს), მოქმედი კანონმდებლობით, არა აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს, ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი“ (კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-7 მუხლი).

დიპლომირებული მედიკოსის დასაქმების სფეროებია:

საექიმო საქმიანობა უმცროს ექიმად. უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი

საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (კანონი

საექიმო საქმიანობის შესახებ, მე-5 მუხლი);

პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

სტომატოლოგიის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

ვიწრო სფერო

ჯანდაცვა

დეტალური სფერო

დენტალური მედიცინა

სწავლის სფერო

სტომატოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

დიპლომირებული სტომატოლოგი

Doctor of Dental Medicine (DMD)

პროგრამის ხელმძღვანელი

ლელა წიტიიშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი სტომატოლოგიის სპეციალობით.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა 300 კრედიტიანია,

პროგრამის სტრუქტურა ასეთია:

სავალდებულო კომპონენტები: 289 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 19 კრედიტი;
- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი;
- სწავლის სფეროს საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები – 85 კრედიტი;
- სწავლის სფეროს კლინიკური სავალდებულო სასწავლო კურსები – 155 კრედიტი;

არჩევითი კომპონენტები: 11 კრედიტი, მათ შორის:

საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 5 კრედიტი;

საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 6 კრედიტი

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლის პროცესი სწავლების თანამედროვე მეთოდებზეა დაფუძნებული. მათ შორის ძირითადია ინტერაქტიური ლექციები, ქეისების ანალიზი, ინდივიდუალური და ჯგუფური

პრეზენტაციები, რეალურ თეორიულ და კლინიკურ შემთხვევებზე და მასალებზე დაფუძნებული სემინარები.

საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობათა ციკლი. **თეორიულ მეცადინეობათა დანიშნულება** – სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი თემების თეორიულ ჭრილში განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა სავალდებულო ლიტერატურითა და შესასწავლი დისციპლინის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით.

პრაქტიკულ მეცადინეობათა დანიშნულება – სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განტკიცება.

ლექციებზე ძირითადად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა, პრეზენტაცია;
- **სემინარის და სასწავლო მასალის ზეპირი პრეზენტაცია Power Point-ით** - რეალურ თეორიულ და კლინიკურ შემთხვევებზე და მასალებზე დაფუძნებული სემინარები;
- **TBL-Team Based Learning-** გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება;
- **CBCR (Case-Based Clinical Reasoning)** - შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა;
- **FC-Flipped Classroom** - “შებრუნებული კლასის” მეთოდი.
- **ჯგუფში დისკუსია/დებატები** - სტუდენტების კამათში გამოწვევა, ინტერაქტიული ლექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი;**
- **წერითი მუშაობის მეთოდი;**
- **თანამშრომლობითი მეთოდი;**
- **ბრენსტორმინგი;** -
- **დემონსტრირების მეთოდი;**
- diagnose occlusion abnormality, draw up a treatment plan and participate in selection of an equipment with the appropriate constructions;
- participate in the process of planning the method of surgery in case of inherited and acquired deformations with consideration of age of a patient, causes of deformations and their limitation;
- participate in planning of dental implantation surgery;
- make the clinical assessment of periodontal patient, plan the operation method and prognose anticipated results;
- take part in planning of surgical method for treatment of inherited cleft lip and cleft palate;
- participate in drafting the algorithm for differential diagnosis and treatment of the oncological diseases of the oral cavity and maxillofacial area;
- organize sanitary and hygienic requirements in dental departments and offices, accomplish aseptics and antiseptics main principles –decontamination, disinfection, sterilization;
- manipulate with dental installations and their main component elements. Apply stationary and portable devices for intended purpose and functions. Apply handpieces and burs of various types;
- collect medical history;
- carry out objective investigation;
- give explanations and advice;
- encourage a patient and protect his/her rights;
- evaluate psychological status of a patient;
- realize and assess complexity of a clinical case;
- prescribe relevant dental clinical and paraclinical examination as required and interpret results;
- identify and assess urgent medical condition;
- provide basic first aid;
- perform the venipuncture, injection under the skin and muscle, injection of a drug intravenously and use the infusion device, place sutures on the skin and mucous membranes;
- place suture;
- provide medical aid at the site of trauma and prevention of complications;
- put bandage on the wound in case of bleeding injured tissues of face;
- elaborate oral hygiene recommendations taking into account patients age and dental status;
- treat/manage pain;
- the competences acquired during the study helps postgraduates to make appropriate decisions independently in therapeutic and surgical dentistry prosthodontics, orthodontics while carrying out the practical activity of a doctor.

Field of Employment

According to the applicable legislation, the graduates of one-step higher medical educational program (DDM) are not authorized to carry out independent medical activities.

In accordance with the **Law of Georgia on „Medical Activities“**, `the right to independent medical activities shall be exercised by a citizen or a stateless person of Georgia or a foreign country who graduated from an accredited higher medical institution of Goergia and has acquired a state certificate verifying his/her right to independent **“Medical activities“ in conformity with this law` (article 7).**

The field of employment for Doctors of Dental Medicine (DDM are the following:

- Medical activity in the capacity of a junior doctor. The junior doctor performs the function of a doctor under the instructions and responsibility of the person authorized to carry out independent medical activities (**article 5, Law of Georgia on Medical Activities**);
- Pedagogic and scientific activities.



აკრედიტებული
სამაგისტრო
საგანმანათლებლო
პროგრამები

მაგისტრატურაში სწავლის ხანგრძლივობა 4 სემესტრი (2 სასწავლო წელია)

პროგრამების მოცულობა კრედიტებით 120 ECTS კრედიტი.

სწავლების ენა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, გარდა საერთაშორისო მარკეტინგის და გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომლებზეც სწავლების ენა ინგლისურია.

სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების ზოგადი წინაპირობა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.

გამონაკლისია სამართლის სამაგისტრო პროგრამა, რომელზეც მიღების აუცილებელი წინაპირობაა, პირს ქონდეს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რის დასადასტურებლადაც პირი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE-ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org).

B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა:

ტოიფელი (TOEFL PBT) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა;

ტოიფელი (TOEFL IBT) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა;

ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა;

ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam) ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

სერტიფიკატის წარდგენისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა დამთავრებული აქვს ინგლისურ ენაზე.

გარდა ამ შემთხვევებისა, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დასადასტურებლად, სტუდენტს საშუალება ექნება ტესტირება გაიაროს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის უცხო ენების ცენტრში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდას/გამოცდებს. საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების საკითხები

და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე (www.ciu.edu.ge).

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

სწავლების პერიოდი და მოცულობა

- ერთი აკადემიური წელი მოიცავს 38 კვირას;
- I სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა;
- II სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა.

აქედან:

- ა) 1-15 კვირა სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია-სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება და დაცვა.
- ბ) მე-16 – მე-18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია;
- გ) მე-19 კვირას ტარდება განმეორებითი გამოცდები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისთვის გამოიყენება როგორც ზეპირი ასევე წერიტი (ტესტი, ქეისების განხილვა და ანალიზი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების ან ბიზნეს-პროექტების მომზადებას და მის პრეზენტაციას.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, რაც

აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, ფორმები და კრიტერიუმები განისაზღვრება უნივერსიტეტის კანცლერის 2014 წლის 27 მარტის #01-36 ბრძანებით დამტკიცებული „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების“ შესაბამისად (იხ. www.ciu.edu.ge).

პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება, ისევე როგორც სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება უნივერსიტეტში წარმოებს 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება.

შუასემესტრული შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ შეფასებებს, რომელიც ჯამში მაქსიმუმ 40 ქულის ტოლია და შუალედური გამოცდის შეფასებას, რომელიც მაქსიმუმ 20 ქულიანია;

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედურ შეფასებებში 30 ქულაა.

რაც შეეხება დასკვნით გამოცდას, მისი მაქსიმალური შეფასება 40 ქულაა ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულის ტოლია.

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასება შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებებით, 51 ქულის ტოლია.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40 ქულა	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესს, ის ფასდება ერთჯერადად, კომისიის წინაშე სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი მიიღებს სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულ 30 კრედიტს და მიენიჭება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია.

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობა

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა:

ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის დაგროვება.

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

ვიწრო სფერო

ბიზნესი და ადმინისტრირება

დეტალური სფერო

მენეჯმენტი და ადმინისტრირება

სწავლის სფერო

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში
(MBA in International Business Management)

პროგრამის ხელმძღვანელი

თეა კასრაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი.

სამაგისტრო პროგრამის ელემენტები (120 ECTS)

- (F) **თეორიული კომპონენტი- 74 ECTS**
- (G) **პრაქტიკული კომპონენტი - 10 ECTS**
- (H) **კვლევითი კომპონენტი- 36 ECTS**

თეორიულ კომპონენტში (74 ECTS) სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებულია 60 კრედიტი, ხოლო არჩევითი კურსებისთვის 14 კრედიტი.

თეორიული კომპონენტი ემსახურება მაგისტრანტის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას შემდგომში სამეცნიერო გზის გასაგრძელებლად ან პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასაბმელად. კურსდამთავრებულს ექნება საკმარისი თეორიული ბაზა და ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც დასაქმების ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

სტუდენტთა მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინგლისურ ენაზე ნებისმიერი სასწავლო კურსის სწავლებას.

პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს პრაქტიკის გაგლას 10 კრედიტის მოცულობით იმ ბიზნეს-ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. სპეციალობით მომუშავე მაგისტრანტს უფლება აქვს პრაქტიკა გაიაროს იმ დაწესებულებაში, რომელშიც ის მუშაობს და პრაქტიკით გათვალისწინებული 10 კრედიტი მოპოვებულად ჩათვლება იმ შემთხვევაში, თუ ის შეასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

კვლევითი კომპონენტი- 36 ECTS

კვლევითი კომპონენტი, მაგისტრანტს უწვდითარებს კვლევის უნარებს, რაც შემდგომში აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში.

სწავლების მეთოდოლოგია

სამაგისტრო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია გულისხმობს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფენ მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას და კვლევის უნარის ჩამოყალიბებას.

სასწავლო პროცესში გამოიყენება:

ვეერბალური მეთოდი,
დისკუსია-დებატები,
ჯგუფური (collaborative) მუშაობა,
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL),
შემთხვევის ანალიზი (Case study),
როლური და სიტუაციური თამაშები,
დემონსტრირების მეთოდები,
ინდუქცია,
დედუქცია,
ანალიზი და სინთეზი,
ახსნა-განმარტებითი მეთოდი,
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება,
ელექტრონული სწავლება

და სხვა;

მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცების და პრაქტიკულ გარემოში დახვეწის მიზნით მაგისტრანტები გადიან პრაქტიკას, სადაც მათ საშუალება აქვთ რეალურ გარემოში დახვეწონ საკუთარი კომპეტენციები, ისწავლონ ახალ, გაუთვალისწინებელ პირობებში მოქმედება, სამუშაოს შესრულებისას პრობლემების გადაჭრის ორიგინალური გზების და ინოვაციური მეთოდების გამოყენება, თეორიული ცოდნის კონკრეტულ პრაქტიკულ სამუშაოსთან მისადაგება, სამუშაო ჯგუფში კოორდინირებული და ინდივიდუალური მუშაობა, გადაწყვეტილების მიღება, შესრულებული სამუშაოს თვითკრიტიკა, ანალიზი და შეიძინონ პრაქტიკული მუშაობის უნარები. შესაბამისად, გამოყენებული მეთოდები მიმართულია ამ უნარების ჩამოყალიბებაზე.

ისწავლისას გამოყენებული მეთოდები მაქსიმალურადაა მიმართული მაგისტრანტის კვლევის უნარის ჩამოყალიბებაზე.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ახდენს საერთაშორისო ბიზნესის შესახებ შესაბამისი მონაცემების მოძიებას, გენერირებას, ანალიზს, ინტერპრეტაციას და კრიტიკულ შეფასებას;
- შემთხვევებზე დაფუძნებული თეორიული ცოდნის გამოყენებით აფასებს შიდა და გლობალური ბაზრების შესაძლებლობებს, აანალიზებს არსებულ/პიპოთეტურ პრობლემებსა და ტენდენციებს, კვლავს კანონზომიერებებს და იღებს სწორ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განაპირობებენ ორგანიზაციის წარმატებას;
- ახდენს საერთაშორისო ბიზნესის შიდა და გარე გამოწვევების და რისკების იდენტიფიცირება-შეფასებას და ინოვაციური, შემოქმედებითი მიდგომებით გეგმავს და ახორციელებს საპასუხო ცვლილებებს;
- აანალიზებს საერთაშორისო ბიზნესის ცალკეულ საკითხებს და რთულ ბიზნეს სცენარებს და იდეების, თეორიებისა და მონაცემების სინთეზის გზით სახავს მოქმედების სტრატეგიებს;
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგიის და მეთოდების შერჩევითა და გამოყენებით, დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას და ახდენს კვლევის დასაბუთებული შედეგების და რეკომენდაციების წერილობით ან/და ზეპირ წარდგენას როგორც აკადემიური, ისე ბიზნეს წრეებისა და სხვა დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

დასაქმების სფერო

პროგრამის დასრულების შემდეგ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სპეციალობით შეუძლია დასაქმდეს:

- ეროვნულ და საერთაშორისო ბიზნეს-ორგანიზაციებში, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში მაღალი რანგის მენეჯერად;
- ეროვნულ და საერთაშორისო ბიზნეს-ორგანიზაციების (ტრანსნაციონალური კომპანიები, კორპორაციები, საწარმოო და მომსახურების ფირმები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, უნივერსიტეტები და სხვ.) ადმინისტრაციაში დაიკავოს მაღალი მმართველობითი პოზიციები;
- სათანადო ორგანიზაციებში აწარმოოს კვლევები, ტრენინგები და მმართველობითი კონსალტინგი;
- შექმნას საკუთარი ბიზნესი (მათ შორის, საერთაშორისო საწარმო) და წარმართოს მისი საქმიანობა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელების უფლება აქვს სხვა სფეროს სადოქტორო პროგრამაზეც, თუ უნივერსიტეტს რაიმე შეზღუდვა არა აქვს დაწესებული პროგრამაზე მიღების წინაპირობით.

საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

ვიწრო სფერო

ბიზნესი და ადმინისტრირება

დეტალური სფერო

მარკეტინგი და რეკლამა

სწავლის სფერო

მარკეტინგი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში

Master of Business administracion in Marketing

პროგრამის ხელმძღვანელი

რუსუდან დალაქიშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა (120 კრედიტი)

- (A) სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები- 54 ECTS;
- (B) სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები- 15 ECTS;
- (C) პრაქტიკული კომპონენტი - 10 ECTS;
- (D) კვლევითი კომპონენტი- 41 ECTS.

**სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები
(54 ECTS)**

ემსახურება მაგისტრანტის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას შემდგომში სამეცნიერო გზის გასაგრძელებლად ან პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასაბმელად. კურსდამთავრებულს ექნება საკმარისი თეორიული ბაზა და ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც დასაქმების ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

სტუდენტთა მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინგლისურ ენაზე ნებისმიერი სასწავლო კურსის სწავლებას.

სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო

კურსები (15 ECTS)

გარკვეული მიმართულებით მაგისტრანტის სწავლების კონცენტრირება და ცოდნის გაღრმავება ხდება სწავლიუს სფეროს არჩევითი დისციპლინების მეშვეობით, მაგისტრანტის ინტერესისა და სურვილის გათვალისწინებით. არჩევითი დისციპლინები სტუდენტს ეხმარება საკუთარი პრაქტიკული საქმიანობის კონსტრუირებაში და განსაზღვრავს კვლევის არეალის გაფართოებას.

გარდა პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა, სტუდენტი იღებს გადაწყვეტილებას შემდგომში კონკრეტული სფეროს კვლევასთან დაკავშირებით, რაც აისახება მის სამაგისტრო ნაშრომში.

სტუდენტთა სურვილის შემთხვევაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს არჩევითი სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე სწავლებას.

პრაქტიკული კომპონენტი (10 ECTS)

პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს პრაქტიკის გავლას 10 კრედიტის მოცულობით იმ ბიზნეს-ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

სპეციალობით მომუშავე მაგისტრანტს უფლება აქვს პრაქტიკა გაიაროს იმ დაწესებულებაში, რომელშიც ის მუშაობს და პრაქტიკით გათვალისწინებული 10 კრედიტი მოპოვებულად ჩათვლება იმ შემთხვევაში, თუ ის შეასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, ვინაიდან **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად**, კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

კვლევითი კომპონენტი (41 ECTS)

კვლევითი კომპონენტი, მაგისტრანტს უნივითარებს კვლევის უნარებს, რაც შემდგომში აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში.

სწავლების მეთოდოლოგია:

- ვერბალური მეთოდი (Verbal Method);
- დემონსტრირების მეთოდი (Demonstrate Method);
- პრეზენტაცია (Presentation);
- პრაქტიკული მუშაობა (Practical Work);
- ჯგუფში მუშაობა (Group Work);
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project Based Study);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem Based Study);
- სწავლება კეთებით (Learning by Doing);

- შემთხვევის შესწავლა (Case Study);
- სიმულაციური სწავლება (Simulation Study);
- ლაბორატორიული მუშაობა (Laboratory Work);
- დისკუსია/ დებატები (Discussions/Debates);
- ელექტრონული სწავლება;
- და სხვა.

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება კურსის სწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინის სილაბუსში აისახება.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- თანამედროვე მარკეტინგული მიდგომების გამოყენებით **ახდენს** ბიზნესის ცვალებად გარემოში არსებული პრობლემების **იდენტიფიცირებას**, კვლევების დამოუკიდებლად განხორციელებას, შეიმუშავებს პრობლემების გადაჭრის ინოვაციურ გზებს;
- **აფასებს** ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ ცვლილებებს და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების და ბიზნესის კეთების ეთიკის ნორმების გათვალისწინებით, შეიმუშავებს კონკრეტული ბიზნესსიტუაციისთვის მორგებულ მარკეტინგულ სტრატეგიებსა და პროგრამებს;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების საფუძველზე ახდენს, კომერციის, გაყიდვების, დაგეგმვის, გასაღების, პრომოციის, კომუნიკაციის, ბრენდინგის და სხვა სფეროში არსებული საკითხების შესწავლას, აკეთებს სათანადო დასკვნებს;
- **ახდენს**, კვლევის თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული სიტუაციის კრიტიკულ ანალიზს, მომხმარებელთა ქცევის შესწავლას, პროგნოზირებას და მართვას. ქმნის მიზნობრივ მყიდველზე მორგებულ პროდუქტს, მარკეტინგულ პოლიტიკასა და სტრატეგიებს;
 - **ახდენს** საბაზრო პროცესების შეფასებას, მის კვლევას მარკეტინგული მეთოდების გამოყენებით, მოზიდული ინფორმაციის სწორ მარკეტინგულ ანალიზს და საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღებას;
 - კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და ეთიკური ნორმების დაცვით, წარუდგენს საკუთარ მარკეტინგულ ხედვებს, შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტებს;
 - იყენებს ახალ მარკეტინგულ შესაძლებლობებს, პროფესიული ზრდის, ბიზნესის დინამიურ გარემოში ადაპტირების და მართვის უნარების გამოსავლენად.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

საერთაშორისო მარკეტინგის, საერთაშორისო ბრენდინგის, მიწოდების, საერთაშორისო ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სფეროში სამეცნიერო კვლევის გაგრძელება, კურსდამთავრებულის ძალიან დიდ და სერიოზულ პერსპექტივას უზრუნველყოფს.

მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლება საერთაშორისო მარკეტინგის კუთხით, სადოქტორო–სამეცნიერო სწავლების განმახორციელებელი უნივერსიტეტების დიდი ოდენობა და იმ ცნობილი პროფესორების სიმრავლე, ვისთანაც აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელ გუნდს

სამეცნიერო კავშირები აქვს, სრულ საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ საერთაშორისო მარკეტინგის სფეროში კვლევის გაგრძელების შემთხვევაში, წარმატების მიღწევა გარკვეულ წილად გარანტირებულია.

დასაქმების სფერო

საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულებს გზას უხსნის დასაქმების ჯერ აუთვისებელ, მეტად საინტერესო, გამოწვევებით სავსე სეგმენტისაკენ, რომელსაც საერთაშორისო მარკეტინგი, ანუ საერთაშორისო ბაზრების თანამდევი პროცესების შემსწავლელი მარკეტინგი ეწოდება.

საქართველოსა და კავკასიის რეგიონის დიდი პრობლემა დღეს სწორედ ამგვარი საერთაშორისო მარკეტინგის სპეციალისტების დიდი დეფიციტია, რაც შემდგომში ეროვნული და რეგიონალური ბაზრების განუვითარებლობას, საექსპორტო პოტენციალის დაქვეითებას და ეკონომიკის წარუმატებლობას იწვევს.

საინტერესოა ისიც რომ, მიუხედავად ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოსთვის საექსპორტო რეჟიმის გამარტივებისა, ქართული და რეგიონალური ექსპორტის საკითხი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროკავშირში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, აზიისა და მსოფლიოს უდიდეს ჩინურ ბაზარზე, ჯერ არადაამკმაყოფილებელია.

სწორედ ამ პროგრამის კურსდამთავრებული, საერთაშორისო მარკეტინგის სპეციალისტი იქნება იმ უნიკალური ცოდნითა და პრაქტიკული უნარჩვევებით აღჭურვილი პიროვნება, რომელიც ეროვნულ და რეგიონალურ პროდუქციას და ფასეულობებს გასაღებას გაუადვილებს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, საერთაშორისო მარკეტინგის სპეციალისტის დასაქმების სფერო არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კომერციული ან არაკომერციული სექტორით, მომგებიანი ან არამომგებიანი ორგანიზაციებით, სამთავრობო ან არასამთავრობო წრეებით. საერთაშორისო მარკეტოლოგის დასაქმების სფერო შესაძლოა იყოს: სამთავრობო ორგანიზაციები და მათ შორის სააგენტოები, სავაჭრო პალატები, მულტინაციონალური კომპანიები, არასამთავრობო, სამოქალაქო ორგანიზაციები, საფინანსო, სატრანსპორტო ორგანიზაციები და კომპანიები, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ტურიზმისა და დასვენების სხვადასხვა ფორმის მიმწოდებელი კომპანიები, ანუ ყველა ის შესაძლო სტრუქტურები, რომლებიც საერთაშორისო და ეროვნულ ბაზრებზე საქმიანობენ, ახდენენ ფასეულობების გაცვლას სამომხმარებლო მოთხოვნის გამოვლენისა და ამ მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება
და სამართალი

ვიწრო სფერო

სამართალი

დეტალური სფერო

სამართალი

სწავლის სფერო

სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამართლის მაგისტრი

Master of Laws (LLM)

პროგრამის ხელმძღვანელი

თამთა წირქვაძე, სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი წინაპირობა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

(120 ECTS)

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება თეორიული კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების (A), თეორიული კომპონენტის მოდულების არჩევითი სასწავლო კურსების (B), პრაქტიკული კომპონენტის (C), აგრეთვე კვლევითი კომპონენტისგან (D).

(A) თეორიული კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 29 ECTS

(B) თეორიული კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 46 ECTS

(C) პრაქტიკული კომპონენტი - 15 ECTS

(D) კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS

თეორიული კომპონენტი შედგება კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის მოდულებად წარმოდგენილი არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამიდან, თავისი ინტერესების შესაბამისად აირჩიოს სამართლის ნებისმიერი დარგის (კერძო, სისხლის, საჯარო სამართლის) სასწავლო კურს(ებ)ი. სტუდენტი თავისუფალია თავისი სასწავლო პორტფოლიოს დაგეგმარებაში.

კომპონენტებს შორის ფართო არჩევანი სტუდენტს საშუალებას აძლევს, თავადვე ჩამოაყალიბოს საკუთარი პროფილი და სხვადასხვა კონცენტრაციიდან შეარჩიოს ის კომპონენტები, რომლებიც დაეხმარება მას სავარაუდო დასაქმების სფეროსათვის ყველაზე საჭირო კომპეტენციების გამომუშავებაში.

პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს იურიდიულ კლინიკას (15 კრედიტი).

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ბაზაზე, 2019 წლიდან ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა, რომელიც მოქალაქეებს უწევს იურიდიულ კონსულტაციას, უზრუნველყოფს სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის განხილვაში წარმომადგენლობას და ადვოკატირებას. კლინიკაში ჩართულნი არიან მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომლებიც ადვოკატის ხელმძღვანელობით, უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტების წარმომადგენლობაში.

გარდა ამისა, იურიდიული კლინიკა შეიძლება განხორციელდეს სასამართლოში, საადვოკატო ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში და მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლების მიცემას.

კვლევითი კომპონენტი მაგისტრანტს უნვითარებს კვლევის უნარებს, რაც შემდგომში აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამეცნიერო კვლევის კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას (30 ECTS კრედიტი).

სტუდენტთა სურვილის შემთხვევაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე სწავლებას.

სწავლების მეთოდოლოგია

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებისას გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

ახსნა-განმარტება; შემთხვევის ანალიზი; დისკუსია/დებატები; გონებრივი იერიში; დემონსტრირება; ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება) ჯგუფებში მუშაობა მუშაობა მცირე ჯგუფებში; მოზაიკა; პრობლემის გადაჭრა; სადისკუსიო პრობლემების/თემების განხილვა; დაიკავეთ პოზიცია; წიგნზე მუშაობის მეთოდი; ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი; თავისუფალი დისკუსია; მიმართულებითი დისკუსია; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ევრისტიკული მეთოდი; როლური და სიტუაციური თამაშები; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; წერითი მუშაობის მეთოდი; გონებრივი განტოტვა; გამოცდილებითი სწავლება; თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი; ანგარიშის შედგენა.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ამოიცნობს და კომპლექსურად აფასებს კერძოსამართლებრივ, სისხლისამართლებრივ ან საჯაროსამართლებრივ რთულ პრობლემებსა და იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, ახორციელებს რთული და არასრული ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს, კრიტიკული ანალიზისა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით შეიმუშავებს პრობლემის გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს და აყალიბებს დასკვნებს.
- განმარტების მეთოდის გამოყენებით, კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე, შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ ხედვას და განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;
- გადასცემს საკუთარი კვლევის შედეგებს და სამართლებრივ დასკვნებს, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად წარმართავს კვლევის პროცესს. იფართოებს ცოდნას უახლესი მეთოდების გამოყენებით პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით;
- პატივს სცემს და აღიარებს პროფესიულ და დემოკრატიულ ღირებულებებს, სამოსამართლო ეთიკის და აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს;
- მართავს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და თავისუფლად ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების

მეშვეობით განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანთა მრავალფეროვან ჯგუფებში. გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება, შეუძლია პასუხისმგებლობის აღება სხვების საქმიანობაზე და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე;

- ახორციელებს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზს, ცოდნის გაფართოებას პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით, შესაბამისი სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის სფეროს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

დასაქმების სფერო

სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართლის მაგისტრი მომზადებულია მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად.

სამართლის მაგისტრს შეუძლია საქმიანობა მულტიკულტურულ პროფესიულ გარემოში, დაწესებულების მოქმედების ტერიტორიული არეალის მიუხედავად.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

ვიწრო სფერო

სოციალური და ქცევითი მეცნიერებები

დეტალური სფერო

პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობის საფუძვლები

სწავლის სფერო

საერთაშორისო ურთიერთობები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

Master of International Relations

პროგრამის ხელმძღვანელი

ვახტანგ მაისაია, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო პროგრამის ელემენტები (120 ECTS)

სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 ECTS

სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS

პრაქტიკული კომპონენტი - 10 ECTS

კვლევითი კომპონენტი - 35 ECTS

სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (55 ECTS) ემსახურება საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში სტუდენტების ზოგადი, თეორიული მომზადების უზრუნველყოფას.

სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (15 ECTS) სტუდენტს საშუალებას აძლევს პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ორი ბლოკიდან – საერთაშორისო უსაფრთხოება ან რეგიონალური უსაფრთხოება აირჩიონ ერთ-ერთი. ამის შემდგომ სტუდენტები შეარჩევენ იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც შეესაბამება მათ მიერ არჩეულ ვიწრო, პროფესიულ საკვალიფიკაციო მოდელს. ამასთან ერთად, ისინი პრაქტიკის ობიექტსაც აირჩევენ არჩეული მიმართულების შესაბამისად საჯარო ან კერძო სექტორის ინსტიტუტებში. სტუდენტებს კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად და სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად შეეძლებათ აირჩიონ კონკრეტული რეგიონის უსაფრთხოების საკითხები - საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების მოდულებიდან.

სტუდენტთა სურვილის შემთხვევაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე სწავლებას.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

წიგნზე მუშაობის მეთოდი;
ვერბალური – ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
პრეზენტაციებისა და დემონსტრირების მეთოდი;
წერითი მუშაობის მეთოდი;
დისკუსია/დებატების მეთოდი;
ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
თანამშრომლობითი (**cooperative**) სწავლება;
როლური და სიტუაციური თამაშები;
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (**PBL**);
ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
შემთხვევის ანალიზი (**Case study**);
გონებრივი იერიში (**Brain storming**);
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით ემპირიული კვლევის მეთოდების შესწავლა;
„კონტენტ ანალიზი“;

გამოცდილებითი სწავლების მეთოდი;
თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი;
რაპორტის შედგენა.

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება კურსის სწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინის სილაბუსში აისახება.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- აქვს საერთაშორისო პოლიტიკის, საერთაშორისო უსაფრთხოების და დიპლომატიის მიმართულებით პრობლემის გადასაჭრელად გზის დასახვისა და კვლევის მეთოდის განსაზღვრის, აგრეთვე თეორიული მსჯელობის არგუმენტირებულად ჩამოყალიბების უნარი;
- აქვს პოლიტიკურ-ანალიტიკური, ანგარიშების, სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების შემუშავების უნარი, ამასთან, შეუძლია გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ინტერესები, ღირებულებები, აგრეთვე გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული, ეკონომიკურ-სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები;
- შეუძლია მოსმენილი ინფორმაციიდან მნიშვნელოვანი ნაწილების გამოყოფა და მათი ანალიტიკურად დამუშავება, დებატების წარმართვა სხვადასხვა შეხედულებებთან დაკავშირებით, განსხვავებულ თემებზე როგორც წერილობით, ასევე ზეპირსიტყვიერად არგუმენტირებული პოზიციის დაცვა;

შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების სფეროში სამეცნიერო – კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება, რომელიც შესაძლებელია შემდგომში წარდგენილ იქნეს სამეცნიერო კონფერენციაზე.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საგარეო, საშინაო პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროში პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება და დაცვა, შესაბამისი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, მონაცემთა გაანალიზება და ინტერპრეტაცია კვლევის მიზნით და ასევე სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით.
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანი დისკუსიის წარმართვა, საკუთარი პოზიციის ნათლად და დეტალურად გადმოცემა, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის პროცესში;
- განსხვავებულ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური წერილობითი ანგარიშისა და ანალიტიკური ხასიათის მასალის მომზადება.
- აქვს უნარი ინდივიდუალურად იმუშაოს დარგში არსებულ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაზე შესაბამისი წყაროების გამოყენებით და დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალურ მეცნიერებათა, პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

დასაქმების სფერო

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ საკმარისი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ იმუშაონ საჯარო სამსახურში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საერთაშორისო

მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში, დიპლომატიურ სამსახურში და მას-
მედიის საშუალებებში, დაწესებულებებში, რომელთაც შეხება აქვთ საგარეო და უსაფრთხოების
პოლიტიკის წარმოებას, ანალიზსა და შემუშავებასთან.

კურსდამთავრებულებს საშუალება მიეცემათ მომავალში იმუშაონ ანალიტიკურ
დეპარტამენტებში.

მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

ვიწრო სფერო

ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

დეტალური სფერო

ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა

სწავლის სფერო

მედიის კვლევები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი მედიის კვლევებში

Master of Social Sciences in Media Studies

პროგრამის ხელმძღვანელი

ზაზა ცოტიაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკაში, კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პროფესორი ჟურნალისტიკის სპეციალობით.

სამაგისტრო პროგრამის „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება“

ელემენტები (120 ECTS)

- (A) სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 ECTS
- (B) სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 15/16/17 ECTS
- (C) პრაქტიკული კომპონენტი - 10 ECTS
- (D) კვლევითი კომპონენტი - 45 ECTS

სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები **(40 ECTS)**

ემსახურება მაგისტრანტის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას შემდგომში სამეცნიერო გზის გასაგრძელებლად ან პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასაბმელად. კურსდამთავრებულს ექნება საკმარისი თეორიული ბაზა და ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც დასაქმების ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული რამდენიმე ძირითად მოდულს ითვალისწინებს:

მედიის ფუნდამენტური პრინციპებისა და თეორიების მოდული, კვლევითი სასწავლო კურსების მოდული, რომელიც მაგისტრანტის მკვლევრად ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

ტექნოლოგიების შესწავლაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების მოდული, რომელიც მულტიმედია სპეციფიკის სწავლებაზეა ორიენტირებული.

სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (15/16/17 ECTS)

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი კურსები სასწავლო კურსები ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ:

1. **ზოგადი დარგობრივი ცოდნის შემცველი მოდული;**
2. სამი დარგობრივი მოდული: **პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების; აგრარული მეცნიერებების; ეკონომიკისა და ბიზნესის მოდული**, რომელთა დაკომპლექტებაც უნივერსიტეტში მოქმედი სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამიდან გახდა შესაძლებელი. ერთადერთი გამონაკლისი, საგანგებოდ ამ პროგრამისთვის დამუშავებული არჩევითი სასწავლო კურსი: „კონსტრუქციული აგროჟურნალისტიკა“, რომლის შესწავლისთვისაც უნივერსიტეტმა სახელმძღვანელოც გამოსცა. თითოეული დარგობრივი ქვებლოკი რამდენიმე არჩევით საგანს შეიცავს. არცერთ მათგანს წინაპირობა არ გააჩნია. თავისი არსითა და ბუნებით კი, ყოველი მათგანი ფუნდამენტური ინფორმაციის შემცველია.
ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტთა მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე შეთავაზებას. სამომავლოდ, ეს ცოდნა მყარი საფუძველი გახდება კურსდამთავრებულისთვის დარგობრივ, პროფესიულ წრეებში უცხო ენაზე კომუნიკაციისთვის.

სტუდენტთა სურვილის შემთხვევაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე სწავლებას.

პრაქტიკული კომპონენტი (10 ECTS)

პრაქტიკული კომპონენტი თეორიული სწავლების შემაჯამებელი ბლოკია. მართალია, პროგრამა ისეა გაწერილი, რომ მაგისტრანტს მთელი სწავლების მანძილზე უწევს პრაქტიკული საქმიანობა, თუმცა მესამე სემესტრში ის უშუალოდ შედის თავისი სპეციალობის საკომუნიკაციო რეჟიმში.

კსუ-ს მულტიმედია ცენტრი, რომელიც უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროგრამების სტუდენტებისთვის დახელოვნების ძირითადი ბაზაა, რეალურ სარედაქციო რეჟიმში მუშაობს. აქ მზადდება ფოტო, რადიო და ტელე-მასალები, გამოიცემა გაზეთები და ჟურნალები. სტუდენტები მუშაობენ ბლოგებზე, თავად მართავენ ახალი მედიის ინსტრუმენტებს.

სწავლის პერიოდში მაგისტრანტის მიერ მომზადებული მედია პროდუქცია ერთგვარ პორტფოლიოს დაემსგავსება, რომელსაც ის მომავალში პოტენციურ დამსაქმებელს წარუდგენს.

კვლევითი კომპონენტი (45 ECTS)

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა გამოყენებითი კვლევების წარმოებაზეა ფოკუსირებული. პროგრამის ფარგლებში წარმოებული ხარისხიანი მედია-კვლევები ინოვაციური ჟურნალისტიკის შესახებ მედია-ბაზარს დაეხმარება საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებასა და არსებული ხარვეზების გამოსწორებაში.

მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებული საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატი ორი ნაწილისგან შედგება. ის შეიცავს როგორც კვლევით, ისე პრაქტიკულ კომპონენტს.

სწავლების მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები როგორც ლექციებითა და ჯგუფში მუშაობით, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებით ხორციელდება. სწავლის პერიოდში სტუდენტები რეალური საინფორმაციო სამსახურის რეჟიმში ამზადებენ სტატიებს, ფოტორეპორტაჟებს, ტელე და რადიოსიუჟეტებს, გადაცემებსა და პროგრამებს, თავად აკაბადონებენ, ამონტაჟებენ მასალებს და სხვადასხვა მედია პლატფორმაზე ათავსებენ მათ.

სტუდენტები გუნდური პროექტების განხორციელებასა და რეალური სიტუაციების სიმულაციებით სწავლობენ. სასწავლო პროცესის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული მულტიმედია ცენტრის (იხ.ბმული: <http://multimedia.ciu.edu.ge/?lang=ge>) საქმიანობაში. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია კი, გარდა უნივერსიტეტის ვებგვერდისა, ასახვას შემდეგ სოციალურ ქსელებში ჰპოვებს:

1. ფეისბუქზე: <https://goo.gl/6Toh58>

2. ინსტაგრამში: <https://goo.gl/A3rbtR>

3. იუთუბზე: <https://goo.gl/gZKzYv>

აგრეთვე, რამდენიმე მედიაპლატფორმაზე:

1. აუდიო პლატფორმა „საუნდქლაუდი“: <https://goo.gl/mLn3cU>

2. პუბლიკაციების უმსხვილესი ქსელი „issuu.com“: <https://goo.gl/cQrWG6>

პროგრამა მაგისტრანტებისათვის ხელმისაწვდომს გახდის იმ ინფორმაციას, რომლის მიღებაც ალტერნატიული გზით – პრესის ფურცლებიდან, ტელეეკრანებიდან თუ აკადემიური პროგრამებიდან – საკმაოდ რთულია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი ან მედიამკვლევარია, ან გამოცდილი პრაქტიკოსი, რომელიც დღესაც აქტიურად აწარმოებს მედიაპროდუქციას.

კონკურენტურანი და მომავალზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადებას შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები განაპირობებს:

1. პროგრამის მეშვეობით ქართულ უმაღლეს ჟურნალისტურ განათლებაში მულტიმედიური მიმართულებების აქცენტირება;
2. სწავლების თანამედროვე და ნოვატორული მეთოდების შერწყმა პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობასთან;
3. გამოცდილი აკადემიური პერსონალისა და შესაბამისი სასწავლო რესურსის სინთეზი.

პროგრამის მრავალშენაკადიანი ბუნებიდან გამომდინარე, მისი **სწავლების მეთოდოლოგიაც შერეული ხასიათისაა:**

- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ვერბალური – ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- პრეზენტაციებისა და დემონსტრირების მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დებატების წარმოების მეთოდი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
- თვალსაჩინო მაგალითის განხილვით სწავლება, შემთხვევის ანალიზი (Case study);
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით ემპირიული კვლევის მეთოდების შესწავლა;
- გამოცდილებითი სწავლების მეთოდი;
- თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- ევრისტიკული მეთოდი;
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- პრაქტიკული სწავლების მეთოდი.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ❖ კრიტიკული მიდგომის საფუძველზე რთული, არასრული ან წინააღმდეგობრივი მონაცემების მოპოვება-ანალიზი და მათი სინთეზი, საჭირო დეტალების აქცენტირება, ანალიტიკური და კრიტიკული კითხვა და მართებული დასკვნების გამოტანა;
- ❖ მედიათეორიების სიღრმისეული, კვალიფიციური წვდომის მიზნით, მომიჯნავე დისციპლინათა საფუძვლების დაუფლების ბაზაზე, მულტიდისციპლინური კვლევის წარმოება; ჟურნალისტური ინფორმაციის დამოუკიდებლად და სრულფასოვნად მოპოვება როგორც პრაქტიკული, ასევე - თეორიული (მეცნიერული) კუთხით;
- ❖ სწორი დაგეგმვით, უახლესი ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით, შეისწავლოს სფეროს კომპლექსური საკითხები, შეიმუშაოს ორიგინალური იდეები, მომხმარებელთან კომუნიკაციის სტრატეგია, გამოიყენოს მულტიდისციპლინური და ინტერკულტურული კომუნიკაციების მოდელები.

აქვს:

- ❖ ერთი მხრივ, მედიის კვლევის კომპეტენცია, მეორე მხრივ კი მულტიმედიური პროდუქტის წარმოებისა და პროფესიული ტექნოლოგიების გამოყენების, აკადემიურ სფეროში ახალი ცოდნის გენერირების, მედიამონიტორინგის ჩატარების უნარი;
- ❖ გუნდური თუ ინდივიდუალური პროფესიული საქმიანობისას შეუძლია კომუნიკაბელური, კოლეგიალური, ეფექტიანი შემოქმედებითი ურთიერთობების წარმართვა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

- ❖ დამოუკიდებლად ახორციელებს კვალიფიციურ კვლევებს მედიის სფეროში და აწარმოებს მაღალი ხარისხის მულტიმედია პროდუქტს;
- ❖ ამკვიდრებს ისეთი ღირებულებებს, როგორიცაა პროფესიული ჟურნალისტური სტანდარტისა და ეთიკური ნორმების, მიუკერძოებლობისა და ბალანსის დაცვა;
- ❖ წვლილი შეაქვს დარგობრივი მედიის ფორმირების პროცესში, საზოგადოებისათვის სწორი ორიენტირების განსაზღვრაში, ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებებისა და ჟურნალისტიკის სფეროს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევრის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელების უფლება აქვს სხვა მიმართულების სადოქტორო პროგრამაზეც, თუ უნივერსიტეტს რაიმე შეზღუდვა არა აქვს დაწესებული პროგრამაზე მიღების წინაპირობით.

დასაქმების სფერო

შრომის ბაზარს დაკვეთა მართავს. უკანასკნელ ხანს, მედიის მკვლევარები სულ უფრო მოთხოვნად კადრებად სახელდება. ზემოთქმულს მედიის მონიტორინგისა და მედიის კვლევების წარმოების მოთხოვნის მიმართულებით სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსები და გაცემული დაფინანსებაც ადასტურებს. კონკურენციის პირობებში, დამსაქმებელი სწორედ მულტიმედიური კომპეტენციების მქონე კადრებს არჩევს.

ზემოთქმული დასტურდება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევითაც, რომელიც პროგრამას თანდართული აქვს. კვლევა საფუძვლად დაედო სამაგისტრო პროგრამის მომზადებას და კიდევ ერთხელ ცხადჰყო მისი საჭიროება.

წარმოდგენილი პროგრამის მაგისტრს ექნება, ერთი მხრივ, მედიის კვლევის კომპეტენცია, მეორე მხრივ კი მულტიმედიური პროდუქტის წარმოებისა და პროფესიული ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა; ასევე, სოციალური ცხოვრების სფეროში საქმიანობისათვის აუცილებელი ის მეთოდოლოგიური აპარატი, რომელიც საშუალებას მისცემს, აკადემიურად და კრეატიულად ჩაერთოს საქმიან ურთიერთობებში.

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს მედია ორგანიზაციებში და კვლევით ცენტრებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, რათა იკვლიოს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო გარემო და მედია სივრცე, გაწევრიანდეს შესაბამისი მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებში და ჩაერთოს სხვადასხვა ინსტიტუციების საქმიანობაში.

ქართული მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია

ვიწრო სფერო

სოფლის მეურნეობა

დეტალური სფერო

ინტერდისციპლინური

სწავლის სფერო

მევენახეობა და მელვინეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი

Master of viticulture and oenology

პროგრამის ხელმძღვანელი

ოლან გოცირიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები-54 ECTS;

სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები- 15 ECTS;

პრაქტიკული კომპონენტი - 10 ECTS ;

კვლევითი კომპონენტი- 41 ECTS.

გარდა მევენახეობა-მეღვინეობის **თეორიული, სავალდებულო სასწავლო კურსებისა**, პროგრამის ფარგლებში ცალკე კურსებად ისწავლება **ქართული, ტრადიციული ქვევრი** და მასში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებისა და მათი ორიგინალურობის შემსწავლელი დისციპლინები. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოების ტექნოლოგიას და მის ორიგინალურობას. პროგრამა ემსახურება მაგისტრანტის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას შემდგომში სამეცნიერო გზის გასაგრძელებლად ან პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასაბმელად. კურსდამთავრებულს ექნება საკმარისი თეორიული ბაზა და ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც დასაქმების ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

არჩევითი სასწავლო კურსები

(15 ECTS)

გარკვეული მიმართულებით მაგისტრანტის სწავლების კონცენტრირება და ცოდნის გაღრმავება ხდება არჩევითი დისციპლინების მეშვეობით, მაგისტრანტის ინტერესისა და სურვილის გათვალისწინებით. არჩევითი სასწავლო კურსები მაგისტრანტს უღრმავებს ძირითადი საგნებიდან მიღებულ ცოდნას, აჩვენებს დამოუკიდებელ მუშაობას წყაროებთან, ეხმარება საკუთარი პრაქტიკული საქმიანობის კონსტრუირებასა და კვლევის არეალის გაფართოებაში.

სტუდენტთა სურვილის შემთხვევაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე სწავლებას.

პრაქტიკული კომპონენტი (10 ECTS)

პრაქტიკული კომპონენტი თეორიული სწავლების შემდეგ შემაჯამებელი კომპონენტია. მაგისტრანტი უშუალოდ შედის ქართული ტრადიციული, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამყაროს პრაქტიკულ ციკლში. ის უნდა მოერგოს შეთავაზებულ გარემოს, ადაპტირდეს მასთან, მოახერხოს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება კონკრეტულ სამეურნეო საქმიანობაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც საველე, ასევე საწარმოო პრაქტიკა.

კვლევითი კომპონენტი (41 ECTS)

გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა, სტუდენტი გადაწყვეტილებას იღებს შემდგომში კონკრეტული სფეროს კვლევასთან დაკავშირებით.

ზოგადად, კვლევითი კომპონენტი მაგისტრანტს უნვითარებს კვლევის უნარებს, რაც შემდგომში აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები:

დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ევრისტიკული მეთოდი; გონებრივი იერიში (Brain storming); დემონსტრირების მეთოდი; ინდუქციური მეთოდი; ანალიზის მეთოდი; სინთეზის მეთოდი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ლაბორატორიული მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ვენახში მიმდინარე ყველა აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, მართვა და დაავადებების კონტროლი;
- სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების დამზადება კლასიკური ტექნოლოგიური სქემების მიხედვით;
- ქვევრში ღვინის დაყენება ქართული ტრადიციული მეთოდებით;
- ყურძნისა და ღვინის ხარისხის კონტროლი და მართვა საკანონმდებლო რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობაში;
- ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების (ღვინო, ბრენდი, ჭაჭა, არაყი) ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზების ჩატარება და შედეგების შეფასება;
- ღვინის ორგანოლეპტიკური შეფასება - ხარისხის, ნაკლოვანებათა და დაავადებათა ამოცნობა;
- დარგობრივი ბიზნეს-პროექტის დაგეგმვა და განხორციელება ძირითადი (ვენახის, მარნის პროექტირება) თანმდევი სერვისებით (მარკეტინგული გათვლები, ახალი პროდუქციის ბრენდირება, ტურისტული სერვისები და სხვ);
- ექსპერიმენტული და კვლევითი საქმიანობის განხორციელება.

კურსდამთავრებულს შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად განახორციელოს:

- ვენახის გაშენების, ვაზის ფორმირების, მოვლის, ნიადაგის განაყოფიერების, მავნებლებისგან დაცვის ღონისძიებები;
- რთველის დაგეგმვა და ორგანიზება;
- ღვინის დამზადება როგორც სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების კლასიკური, ასევე ქვევრში დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდებით;
- ღვინის ხარისხის შეფასება და კონტროლი ანალიზის ლაბორატორიული და ორგანოლეპტიკური მეთოდებით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრარული მეცნიერებების ან სხვა

სფეროს სადოქტორო პროგრამებზე, რომლებიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე, თუ მათზე მიღება რაიმე წინაპირობით არ არის შეზღუდული.

დასაქმების სფერო

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

სავენახე ფერმერულ და მეღვინეობის მეურნეობებში;

ქარხნებსა და ღვინის კომერციის, როგორც საექსპორტო ისე შიდა საბაზრო მოხმარების საწარმოებში;

კვლევით და საცდელ მეურნეობებში;

ღვინის, ცქრიალა ღვინისა და ბრენდის საწარმოებში;

კვლევით და აკრედიტებულ ლაბორატორიებში;

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მართვის შესაბამის უწყებებში;

ღვინის ეროვნულ სააგენტოში;

მევენახეობა-მეღვინეობის სასწავლო სამეცნიერო ცენტრებში.



აკრედიტებული
სადოქტორო
საგანმანათლებლო
პროგრამები

დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა

სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა 6 სემესტრი (3 სასწავლო წელი)

სადოქტორო პროგრამების მოცულობა კრედიტებით

სასწავლო კომპონენტი - 40 ECTS.

სადოქტორო პროგრამებზე სწავლების ენა

ქართული

პროგრამებზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის ადმინისტრირების, პოლიტიკის მეცნიერების, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

გარდა ამისა, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერტიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი ვალდებულია ტესტირება გაიაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში.

B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა:

ტოიფელი (TOEFL PBT) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა;

ტოიფელი (TOEFL IBT) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა;

ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)

ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა;

ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები

(Cambridge Exam) ცოდნის დონე: არანაკლებ FCE.

პირი, რომელიც ვერ წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ვალდებულია ინგლისურში გამოცდა ჩააბაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. გასაუბრების დროს კონკურსანტს მოეთხოვება წარმოადგინოს კვლევითი პროექტი სავარაუდო კვლევის თემაზე, რომელშიც უნდა ჩანდეს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს თანამედროვე აქტუალური საკითხების ღრმა ცოდნა და კონკურსანტის კვლევის პოტენციალი.

გარდა ამისა, გასაუბრების დროს კონკურსანტი ვალდებულია მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში.

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატსაც, რომელსაც არა აქვს შესაბამისი სამაგისტრო განათლება ბიზნესის ადმინისტრირებაში, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ან/და შრომები ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსა და მასში შემავალ ცალკეულ სწავლის სფეროებში.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. გასაუბრების დროს კონკურსანტს მოეთხოვება:

ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებსა და ქვეყნის რეალობაში არსებულ პოლიტიკურ პრობლემებზე;

მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით;

წარმოადგინოს საკვლევი თემის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი კვლევის ინტერესს (კონკურსანტის პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ შესაძლებელია წარმოდგენილი პროექტის თემატიკის სრულად ან ნაწილობრივ ცვლილება, დოქტორანტის ინტერესებიდან გამომდინარე);

წარმოადგინოს ორი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან (კონკურსანტის, პროგრამის პროფილით სამუშაო გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, ერთი სარეკომენდაციო წერილი შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან, მეორე - დამსაქმებელი კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან).

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება სოციალური მეცნიერებების, პოლიტიკის მეცნიერების ან საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატსაც, რომელსაც არა აქვს შესაბამისი სამაგისტრო განათლება, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ან შრომები ზემოჩამოთვლილ სფეროებში.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. გასაუბრების დროს კონკურსანტს მოეთხოვება:

ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს მასკომუნიკაციის სფეროს თანამედროვე, აქტუალურ საკითხებზე;

მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით;

წარმოადგინოს საკვლევი თემის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი კვლევის ინტერესს (კონკურსანტის პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ შესაძლებელია წარმოდგენილი პროექტის თემატიკის სრულად ან ნაწილობრივ ცვლილება, დოქტორანტის ინტერესებიდან გამომდინარე);

წარმოადგინოს ორი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან (კონკურსანტის, პროგრამის პროფილით სამუშაო გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, ერთი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან, მეორე - დამსაქმებელი კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან).

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება მასობრივი კომუნიკაციის სფეროში. ასევე, თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატსაც, რომელსაც არა აქვს შესაბამისი სამაგისტრო განათლება მასობრივი კომუნიკაციის სფეროში, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ან/და შრომები მასობრივი კომუნიკაციის სფეროსა თუ მასში შემავალ ცალკეულ დარგებში.

სამართლის სადოქტორო პროგრამაზე პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. გასაუბრების დროს კონკურსანტს მოეთხოვება:

ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს თანამედროვე სამართლებრივ პროცესებსა და ქვეყნის რეალობაში არსებულ პრობლემებზე;

მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით; წარმოადგინოს საკვლევ თემის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი კვლევის ინტერესს (კონკურსანტის პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ შესაძლებელია წარმოდგენილი პროექტის თემატიკის სრულად ან ნაწილობრივ ცვლილება, დოქტორანტის ინტერესებიდან გამომდინარე); წარმოადგინოს ორი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან (კონკურსანტის, პროგრამის პროფილით სამუშაო გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, ერთი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან, მეორე - დამსაქმებელი კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან).

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამებზე მისაღებ დოქტორანტთა რაოდენობა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა წარმოებს წელიწადში ერთხელ, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

ცოდნის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

სასწავლო კომპონენტის შესწავლისას, სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

შუალედური შეფასება იყოფა კომპონენტებად (მუშაობა ლექციებზე და სამუშაო ჯგუფებში, შუალედური გამოცდები, წინასწარ შერჩეული თემის მომზადება და მისი პრეზენტაცია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, რეფერატის მომზადება და დაცვა, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ.), რომელთაც თავისი პროცენტული წილი აქვთ შუალედური შეფასების ფარგლებში.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას, ან მხოლოდ

შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი კვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;

- თითოეულ სასწავლო კომპონენტში შუალედური გამოცდა სემესტრში შესაძლებელია ჩატარდეს რამოდენიმეჯერ (სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე) და თითოეული ფასდება 20 / 30 ქულით;
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;
- შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 ქულის ტოლია;
- დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.
- დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;
- დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

მაქსიმალური დადებითი შეფასება - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით:

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება).
0-40 ქულა	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის

დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის შეფასებას, კვლევითი კომპონენტის არცერთი სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემა ასეთია:

ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ძალიან კარგი (magna cum laude) -

შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

საშუალო (bene) – დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დამაკმაყოფილებელი (rite) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, **არადამაკმაყოფილებელი (insufficient)** შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, 51-დან 100 ქულის ჩათვლით ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად და მას მიენიჭება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სადოქტორო პროგრამებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები

სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულება.

- არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაცია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდებულ და უნივერსიტეტის მიერ ამ მიზნით აღიარებულ საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში, რომელშიც ასახული უნდა იყოს სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (პირადად მოხსენების გაკეთება). (დოქტორანტი ვალდებულია მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მაინც. მისი მონაწილეობა უნდა დასტურდებოდეს სერტიფიკატითა და გამოქვეყნებული მასალებით).

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მოტივირებული შუამდგომლობისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე, უნივერსიტეტის

ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, დოქტორანტი ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში დაფინანსდება უცხოეთში სამეცნიერო კვლევის/კვლევის ნაწილის განსახორციელებლად.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

Business, Administration and, Law

ვიწრო სფერო

ბიზნესი და ადმინისტრირება

Business and Administration

დეტალური სფერო

მენეჯმენტი და ადმინისტრირება

Management and Administration

სწავლის სფერო

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

Doctor of Business Administration

პროგრამის ხელმძღვანელი

თეა კასრაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია **EQUAL GUIDELINES FOR DOCTORAL PROGRAMMES IN BUSINESS AND MANAGEMENT** მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის მომზადების სპეციფიკა.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ელემენტები

სასწავლო კომპონენტი- 40 ECTS;

კვლევითი კომპონენტი.

სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო 35 ECTS) და არჩევითი (5 ECTS) ელემენტებისგან.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები 35 ECTS)

- კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები ბიზნესში (10 ECTS);
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 ECTS);
- პროფესორის ასისტენტობა (10 ECTS);
- თემატური სემინარი (10 ECTS).

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (5 ECTS)

- აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის (5 ECTS);
- სამეცნიერო კვლევების მართვა დოქტორანტებისათვის (5 ECTS);
- ფინანსური სექტორის გამოწვევები - კვლევა და ანალიზი (5 ECTS);
- მენეჯმენტის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი (5 ECTS);
- მარკეტინგის კვლევითი და ანალიტიკური ასპექტები (5 ECTS).

კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

სადისერტაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, შეიცავდეს ინოვაციურ მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ინდუქცია, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი (Flipped Classroom), ელექტრონული სწავლების მეთოდი, ჯგუფური და ინდივიდუალური კვლევითი პროექტი, პრეზენტაცია, დისკუსია და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს

კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

არსებული თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და მიდგომების ანალიზის, ინტერპრეტაციის და სინთეზის გზით ქმნის ახალ ცოდნას;

მაღალი პროფესიონალიზმით იყენებს კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს ორიგინალური სამეცნიერო კვლევების დასაგეგმად და განსახორციელებლად;

სამეცნიერო ეთიკის პრინციპების დაცვით ახდენს კვლევის/კვლევების პრაქტიკული და სამეცნიერო ღირებულების მქონე ინოვაციური, ორიგინალური მიგნებების საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენას და სხვადასხვა სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოაქვეყნებას;

კვლევითი და საგანმანათლებლო მიზნებისთვის თანამშრომლობს სხვადასხვა ეროვნებისა და დისციპლინის ექსპერტებთან და მკვლევრებთან;

ამზადებს სასწავლო კურსებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში და სწავლების თანამდროვე მეთოდების და სტრატეგიების გამოყენებით ახორციელებს სწავლებას საგანმანათლებლო სივრცეში;

აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების დაცვით დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს ორიგინალურ, მაღალი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე კვლევას/კვლევებს დარგში აქტუალურ საკითხებზე, რომელიც აკმაყოფილებს რეცენზიის (peer review) მოთხოვნებს და ქვეყნდება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში.

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები და საზოგადოებები), აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორებს ასევე შეუძლიათ დასაქმდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

Social Sciences, Journalism and information

ვიწრო სფერო

სოციალური და ქცევითი მეცნიერებები

Behavioural Sciences

დეტალური სფერო

პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები

Political Sciences and Civics

სწავლის სფერო

პოლიტიკის მეცნიერება

Political Science

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

Doctor of Political Science

პროგრამის ხელმძღვანელი

თამარ კიკნაძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (40 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისგან.

სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (35 ECTS) და არჩევითი (5 ECTS) ელემენტებისგან.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები:

- პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები (10 ECTS);
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 ECTS);
- პროფესორის ასისტენტობა (10 ECTS);
- თემატური სემინარი (10 ECTS);

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (5 ECTS);

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (მოდულები) სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი სურვილის შესაბამისად ცოდნა შეიძინოს/გაიღრმავოს პოლიტიკის მეცნიერების ერთ-ერთ ქვედარგში და თავისი ინტერესების გათვალისწინებით, კვლევის სფეროდ აირჩიოს მისთვის სასურველი ქვედარგი.

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების ფარგლებში უნივერსიტეტი სტუდენტს საშუალებას მისცემს საკუთარი სურვილის შესაბამისად, მისთვის საინტერესო ქვედარგში არსებული, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა შეიძინოს უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშიც.

კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

სადისერტაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს ინოვაციური მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი; გონებრივი იერიში (Brain storming); როლური და სიტუაციური თამაშები; სწავლების ინდუქციური მეთოდი; სწავლების დედუქციური მეთოდი; ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.**

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- შესწევს უნარი, სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენოს კონკრეტული და გლობალური პრობლემის, ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, გააზრებისა და გადაწყვეტისათვის პოლიტიკის მიმართულებით;
- შეუძლია პოლიტიკის მეცნიერების და პოლიტიკის სფეროში ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, სამეცნიერო – კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება, რაც წარდგენილ იქნება სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- ფლობს პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების უნარს, ამასთან, შეუძლია გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ინტერესები, ღირებულებები, აგრეთვე პოლიტიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები;
- ფლობს კონფლიქტების პოლიტიკური მეთოდებით გადაწყვეტის უნარს;
- შეუძლია საუნივერსიტეტო განათლებაში საკუთარი წვლილის შეტანა;
- შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მასზე პასუხისმგებლობის აღება;
- შეუძლია პოლიტიკის სფეროში ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, მონაცემთა გაანალიზება და ინტერპრეტაცია და მათზე პასუხისმგებლობის აღება;
- შეუძლია პოლიტიკის მეცნიერების დარგში წამოჭრილი პრობლემის ანალიზის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, დაცვა და ამ პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

დასაქმების სფერო

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია იმუშაოს კვლევით დაწესებულებებში, დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, გაწიოს საექსპერტო საქმიანობა. კურსდამთავრებული უფლებამოსილია აგრეთვე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა

ფართო სფერო

სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

Social Sciences, Journalism and information

ვიწრო სფერო

ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

Journalism and information

დეტალური სფერო

ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა

Journalism and Reporting

სწავლის სფერო

მასობრივი კომუნიკაცია (შინაარსი)

Mass Communication

(Wording and content)

მისანიჭებელი

კვალიფიკაცია

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი

Doctor of mass communication.

პროგრამის ხელმძღვანელი

ხათუნა კაჭარავა, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს, რომლის მოცულობა 40 ECTS-ია, საიდანაც სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები, 35 ECTS-ია ხოლო სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები - 5 ECTS.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- სამეცნიერო კვლევის მეთოდები (10 ECTS);
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 ECTS);
- პროფესორის ასისტენტობა (10 ECTS);
- თემატური სემინარი (10 ECTS).

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (5 ECTS)

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების სწავლება მიზნად ისახავს, დოქტორანტს მისცეს შესაძლებლობა მასობრივი კომუნიკაციის მისთვის საინტერესო სფეროში გაიღრმავოს ცოდნა, რაც მას დაემხარება პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში, აგრეთვე, საკვლევ თემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში.

კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

სადისერტაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, შეიცავდეს ინოვაციურ მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა;

წიგნზე მუშაობის მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ევრისტიკული მეთოდი; შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); დემონსტრირების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; წერითი მუშაობის მეთოდი.

სწავლა-სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მაქსიმალურადაა მიმართული დოქტორანტის კვლევის უნარის ჩამოყალიბებაზე.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო და ადგილობრივ რეფერირებად პუბლიკაციებში;
- მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მიღწევების გაანალიზება და კომპანიაში ანალიზის შედეგების დანერგვის შესახებ პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, ახალი ეფექტიანი წინადადებების შეთავაზება და განხორციელება;
- დარგის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიებში ჩართვა და თეორიულ-გამოყენებითი ხასიათის კვლევების განხორციელება;
- დოქტორანტის მიერ განხორციელებული კვლევის შესაბამისად, კონკრეტულ დარგში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა, კრიტიკული ანალიზი, შეფასება და კვლევის შედეგების დასაბუთებულად და გასაგები ფორმით საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო და სხვა დაინტერესებული საზოგადოების წინაშე წარდგენა;
- თანამშრომლობა სხვა დარგების წარმომადგენლებთან კომპლექსური კვლევის დროს;
- მიღებული თეორიული ცოდნის შემოქმედებითად განვითარებით და პრაქტიკული გამოცდილების კრიტიკული ანალიზით შექმნას ახლებური მიდგომები მასობრივი

კომუნიკაციის ორგანიზაციული კულტურის, მმართველობითი ურთიერთობის ეთიკისა და მართვის ხელოვნების სფეროში. დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერება და სამეცნიერო ეთიკის ნორმები;

- მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, მოდელების, მასკომუნიკაციის ძირითადი ტენდენციების, კომუნიკაციის პროცესის კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, მოცემულ სფეროში ისეთი ტიპის ახალი ცოდნის შექმნა, რომელიც სამეცნიეროს გარდა, პრაქტიკული/გამოყენებითი მნიშვნელობის მატარებელიც იქნება;
- მასობრივი კომუნიკაციის ცალკეულ დარგში მიმდინარე პროცესების გარშემო მაღალი ხარისხის კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, მიღებული კვლევების შედეგების კრიტიკული - სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე მოცემულ სფეროში არსებული ტენდენციების იდენტიფიცირება, ასევე ახალი, ინოვაციური იდეების გენერირება-რეალიზება;
- მასობრივი კომუნიკაციის სფეროში სხვადასხვა სახის სასწავლო კურსების/პროგრამების შექმნა და აკადემიური, სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

დასაქმების სფერო

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორები დასაქმებიან თბილისის და რეგიონულ უნივერსიტეტებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციებში. მასობრივი კომუნიკაციის დოქტორებს ასევე შეუძლიათ შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი თანამდებობრივი პოზიციის დაკავება.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

Business, Administration and, Law

ვიწრო სფერო

სამართალი

Law

დეტალური სფერო

სამართალი

Law

სწავლის სფერო

სამართალი

Law

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამართლის დოქტორი

(Doctor of Law)

პროგრამის ხელმძღვანელი

მინდია უგრეხელიძე, სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი;

პროგრამის თანახელმძღვანელი

სერგო ჭელიძე - სამართლის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

სამართლის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი 40 კრედიტს მოიცავს.

სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (35 ECTS) და არჩევითი (5 ECTS) ელემენტებისგან.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- სამართლებრივი კვლევის მეთოდები (10 ECTS);
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 ECTS);
- პროფესორის ასისტენტობა (10 ECTS);
- თემატური სემინარის მომზადება და აუდიტორიის წინაშე დაცვა (10 ECTS).

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (5 ECTS)

- აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის (5 ECTS);
- სამეცნიერო კვლევების მართვა დოქტორანტებისათვის (5 ECTS).

კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

სადისერტაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს ინოვაციური მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

სწავლების მეთოდოლოგია

სასწავლო კომპონენტში გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები:

ახსნა-განმარტება; შემთხვევის ანალიზი; დისკუსია/დებატები; გონებრივი იერიში; დემონსტრირება; ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება); ჯგუფებში მუშაობა; მუშაობა მცირე ჯგუფებში; მოზაიკა; პრობლემის გადაჭრა; სადისკუსიო პრობლემების/თემების განხილვა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ევრისტიკული მეთოდი; ქმედებაზე

ორიენტირებული სწავლება; თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი; კვლევაზე ორიენტირებული სწავლება; კვლევითი - პრაქტიკული მუშაობის მეთოდი და სხვ.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ახდენს ინოვაციური კვლევის, სასწავლო და კვლევითი პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებას და ზედამხედველობას;
- შეიმუშავებს ახალი ცოდნის შემენასა და შექმნაზე ორიენტირებულ ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს;
- ახდენს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის და მეცნიერული სიახლეების კვლევას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
- ახდენს სამართლის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას;
- დასაბუთებულად წარმოაჩენს, საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე, სამართლის უახლეს სამეცნიერო მიღწევებს;
- ახდენს სამეცნიერო სტილის დაცვით და სტანდარტების შესაბამისად, სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებას, სტრუქტურირებას და გამოქვეყნებას;
- კრიტიკულად იაზრებს და ითვისებს სწავლისა თუ კვლევის პროცესში სამართლის დარგის უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებულ ახალ შეხედულებებსა და იდეებს, ახდენს უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დაკვირვებას და ახალი მეცნიერული იდეების განვითარებას;
- ახდენს სამართლის დარგთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევას და შეიმუშავებს მათ დასამკვიდრებლად ინოვაციურ მეთოდებს;
- შეაქვს საკუთარი წვლილი საუნივერსიტეტო იურიდიულ განათლებაში და აქტიურად მუშაობს მის მიერ შექმნილი ახალი ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით;
- პატივს სცემს და იცავს აკადემიურ კეთილსინდისიერებას და სამეცნიერო ეთიკის ნორმებს.

დასაქმების სფერო

სამართლის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სამართლის დოქტორს ასევე ეძლევა შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის დოქტორის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

ქართული მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია

ვიწრო სფერო

სოფლის მეურნეობა

დეტალური სფერო

ინტერდისციპლინური - მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობას, ვეტერინარიას

სწავლის სფერო

მევენახეობა და მეღვინეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მევენახეობა და მეღვინეობის დოქტორი

Doctor of viticulture and Oenology

პროგრამის ხელმძღვანელები

დავით მალრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი;

ოლან გოცირიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

მევენახეობა - მეღვინეობის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტს მოიცავს.

სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (55 ECTS) და არჩევითი (5 ECTS) ელემენტებისგან.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის - (5 ECTS);
- კვლევის მეთოდები მევენახეობასა და მეღვინეობაში - (10 ECTS);
- სტატისტიკური კვლევის მეთოდები მევენახეობასა და მეღვინეობაში (10 ECTS);
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 ECTS);
- სამეცნიერო კვლევების მართვა დოქტორანტებისთვის - (5 ECTS);
- პროფესორის ასისტენტობა (10 ECTS);
- თემატური სემინარი (10 ECTS).

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (5 ECTS)

- თანამედროვე აქტუალური საკითხები მევენახეობაში - (5 ECTS);
- თანამედროვე აქტუალური საკითხები მეღვინეობაში - (5 ECTS).

კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

სადისერტაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს ინოვაციური მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

სწავლების მეთოდოლოგია

სასწავლო კომპონენტში გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

ახსნა-განმარტება; შემთხვევის ანალიზი; დისკუსია/დებატები; გონებრივი იერიში; დემონსტრირება; ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება); პრობლემის გადაჭრა; სადისკუსიო პრობლემების/თემების განხილვა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ევრისტიკული მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი; კვლევაზე ორიენტირებული სწავლება; პრაქტიკული მუშაობის მეთოდი და სხვ.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო და ადგილობრივ რეფერირებად პუბლიკაციებში;
- ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- მევენახეობისა და ენოლოგიის სფეროში მიღწევების გაანალიზება და კომპანიაში ანალიზის შედეგების დანერგვის შესახებ პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, ახალი ეფექტიანი წინადადებების შეთავაზება და განხორციელება;
- დარგის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიებში ჩართვა და თეორიულ-გამოყენებითი ხასიათის კვლევების განხორციელება;
- მევენახეობისა და ენოლოგიის სფეროში სასწავლო კურსების მომზადება და სწავლება;
- მევენახეობისა და ენოლოგიის სფეროში არსებულ სამეცნიერო პრობლემატიკაში გარკვევა, კვლევის მიზნის ჩამოყალიბება; კვლევის მეთოდების შერჩევა და შესაბამისი ცდის დაგეგმვა; მონაცემთა შეკრება და სწორი დასკვნების გამოტანა;
- ცდის შედეგების წარდგენა სამეცნიერო საზოგადოებისათვის პუბლიკაციებისა და კონფერენციების საშუალებით;
- ლექციების, სემინარების და ლაბორატორიული სამუშაოს დამოუკიდებლად, პროფესორის ზედამხედველობის გარეშე ჩატარება.

დასაქმების სფერო

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გამოდის რა მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამის შექმნის ინიციატივით უნივერსიტეტის ბაზაზე, მისი კურსდამთავრებულები გარდა სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობისა, უპირველესად დასაქმდებიან ამავე უნივერსიტეტში სამეცნიერო, პედაგოგიურ და აკადემიურ პოზიციებზე.

გარდა ამისა, მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მევენახეობა და მეღვინეობის დოქტორს ასევე ეძლევა შესაძლებლობა იმუშაოს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში საქართველოში, სადაც საჭიროა მევენახეობა და მეღვინეობის მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და პედაგოგიური კადრები.

ასეთ ორგანიზაციებს შორის დასაქმების შანსები იზრდება იმ დაწესებულებებში, სადაც არსებობს სამეცნიერო და უმაღლესი პედაგოგიური კადრების საჭიროება და ვისთანაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

ავტორიზებული
ინგლისურენოვანი
საბაკალავრო და
სამაგისტრო
საგანმანათლებლო
პროგრამები

Bachelor's Educational Program in Business Administration

1. Type of Educational Program

The Higher Education Program

2. Broad Field

Business, Administration and Law

3. Narrow Field

Business and Administration

4. Detailed Field

Management and Administration

5. fields of study

Business administration

6. Duration of Study

4 years; 8 semesters

7. Program volume in credits

240 credits

8. Tuition Form

Full time

9. Tuition Language

English

10. Qualification to be awarded

Bachelor of Business Administration

11. Acting Program Director

Nino Samchkuashvili,

Doctor of Business administration, associate Professor at the Faculty of Business and Technology of Caucasus International University.

12. Precondition for admission to the course

Citizens of Georgia holding the general certificate of education are entitled to enroll for the English Bachelor's Educational Program of Business Administration on the basis of the results of the Unified State Examinations (at least 60 points in English language).

Individuals who have not passed the Unified State Examination are allowed to enroll in accordance with the requirements of Georgian legislation (Law of Georgia on "Higher Education" Article 52).

To be eligible for the admission, you are required to be in full compliance with the prerequisite in the following:
English language B2 level.

Upon obtainment of the status of a student of Caucasus International University a person is obliged to submit to the university a document certifying full basic education or its equivalent while a person being on file for military service in line with the applicable legislation shall submit a document confirming that a person is on file for military service.

Enrollment for the **English Bachelors' Educational Program of Business Administration** via academic mobility is permitted upon completion of one academic year of studies. Academic mobility is allowed twice a year within the terms established by the Ministry of Education and Science of Georgia with observation of obligatory procedures approved under the Deed of the Director of Legal Person of Public Law National Center of Development of Education Quality and rules determined by the University.

